კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ანა გაიპარაშვილი

ლობიზმის პრაქტიკა და მექანიზმი დასავლეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში (სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე)

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ კიკნაძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი;

კსუ-ს ასოცირებული პროფესორი

თბილისი - 2018

Annotation

Practice and Mechanism of Lobbying in West and Post-Soviet area (examples south-caucasus countries)

The master's thesis deals with the practice and mechanism of lobbyism of the example of different countries and its role in international relations. As we know, lobbyism in general, has not only one definition.

The subject of lobbyism is significant in the whole world today. In modern Georgian socio-political sciences, there is no thesis for master or doctoral academic degrees in such important issues as lobbyism and lobbyzm. It is interesting when the practice of lobbying begins in Georgia, post-Soviet countries, Europe and the United States and other countries; what political goals it serves. The academic value of the research is expressed in the fact that it combines the Georgian and foreign experiences of lobbyism and this circumstance gives particular importance to research.

There is rewieved historical basics of lobbying in the research. Through this we can determine what goals can be served by lobbyists, which is a precondition for successful political and international relations.

Ana Gaiparashvili

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ლობიზმის პრაქტიკასა და მექანიზმებს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე და მის როლს საერთაშორისო ურთიერთობებში. ზოგადად ლობიზმისადმი მსოფლიოში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. აგრეთვე არაერთგვაროვანია ლობიზმის განმარტება და მისდამი დამოკიდებულება სამეცნიერო ლიტერატურასა, პუბლიცისტიკასა თუ სხვადასხვა სამეცნიერო სტატიაში.

ლობიზმის თემა აქტუალურია დღეს მთელი მსოფლიოსათვის. თანამედროვე ქართულ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში კი არ არსებობს ნაშრომი არც სამაგისტრო და არც სადოქტორო აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ისეთ მნიშვნელოვან თემასა და საკითხზე, როგორიცაა ლობიზმი და ლობირება. ჩვენ შევეცადეთ გაგვეანალიზებინა ლობიზმის პრაქტიკა პოსტ-საბჭოთა (სამხრეთ კავკასიის) ქვეყნებში და შეგვედარებინა იგი ევროპისა და ამერიკის შეერთებულ შტატებსა ლობისტურ გამოცდილებას, აგრეთვე განგვესაზღვრა თუ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება იგი. იგი აერთიანებს ლობიზმის ქართულსა და უცხოურ გამოცდილებებს და ეს გარემოება განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს კვლევას.

ნაშრომში განხილულია ლობიზმის არსი და ისტორიული საფუძვლები. მისი მეშვეობით შეგვიძლია დავადგინოთ ის, თუ რა მიზნებს შეიძლება ემსახურებოდნენ დღეს ლობისტები, რაც წარმატებული პოლიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების წინაპირობაა.

შინაარსი

შესავალი 5

I თავი. ლობიზმი როგორც თანამედროვე პოლიტიკური პროცესების მნიშვნელოვანი ფაქტორი 9

1.1 ლობიზმი და მისი არსი 10

1.2 ლობიზმი და მისი რეგულირების სამართლებრივი-პოლიტიკური ასპექტები 22

1.3 აშშ როგორც ლობიზმის სამშობლო 28

II თავი. ლობიზმი ევროპასა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში 38

2.1 ლობისტური ტრადიციები ევროპის ქვეყნებში 38

2.2 სომხური ლობის გავლენა საერთაშორისო პროცესებზე 42

2.3 აზერბაიჯანული ლობი და მისი ეფექტურობა 46

III თავი. ლობიზმი და საქართველო 49

3.1 ლობიზმი და მისი ძირითადი მახასიათებლები საქართველოს სინამდვილეში . . 50

3.2 საქართველოს ლობისტური საქმიანობა აშშ-სა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში 55

3.3 საქართველოს ლობისტური საქმიანობის გავლენა საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე 62

დასკვნა 66

ბიბლიოგრაფია 68

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომის თემა აქტუალურია მისი შინაარსიდან გამომდინარე. დღეს მთელს მსოფლიოში განიხილება ლობიზმის საკითხი და კვლავ მისი არსი არაერთგვაროვანია. საკითხის სიახლიდან გამომდინარე იგი პირველი სამეცნიერო ნაშრომია, რომელიც აერთიანებს ლობიზმის ქართულ და უცხოურ პრაქტიკას. იგი განიხილება ერთისმხრივ როგორც დემოკრატიული ქვეყნებისთვის აუცილებელი მექანიზმი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, თუმცა კორუფციისგან თავის არიდება მისი, როგორც პოლიტიკური სისტემის ნაწილის, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. ლობიზმი პოლიტიკური სისტემის გარდაუვალი ნაწილია და საერთაშორისო ურთიერთობების თანმდევი პროცესია. ვინაიდან იგი ყველა ტიპის მმართველობის სისტემაში ფიქსირდება, მაღალია მისი საზოგადოებრივი ინტერესი.

ჰიპოთეზა

ლობიზმი თანამედროვე და აქტუალური პოლიტიკური პროცესების თანმდევ საკითხს წარმოადგენს. მიგვაჩნია, რომ აქტიური ლობისტური საქმიანობა საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებისა და მაგალითების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ლობისტური ორგანიზაციები გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებსა და მის შედეგებზე. ლობიზმის სახეები განსხვავებულია დასავლურ და პოსტსაბჭოთა სივრცეში. იგი ჯერ ჩანასახოვან პროცესშია და მას არაერთგვაროვანი სახე აქვს.

საჰიპოთეზო კითხვა

1. რამდენად ახდენს ევროპასა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში ლობისტური საქმიანობები ზეგავლენას და რა შედეგები აქვს მას?
2. რა ინსტიტუციური მექანიზმებით ხდება ლობისტური საქმიანობა?
3. რა ფაქტორები განაპირობებენ ლობისტური საქმიანობის წარმატებას და კორუფციის თავიდან აცილებას?
4. როგორ ხდება ლობისტური საქმიანობის განხორციელება დასავლეთის ქვეყნებსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში?

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება ცნობილ პოლიტოლოგთა, მეცნიერთა და ექსპერტთა ნაშრომებს, რომელიც დაკავშირებულია ლობირების პრაქტიკასთან. კვლევის პროცესში დამუშავებული გვაქვს სხვადასხვა სახელმწიფო მოღვაწეთა, მეცნიერთა, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციების ნაშრომები თემის ირგვლივ. ასევე შესწავლილი გვაქვს სხვადასხვა სტატიები, ინტერვიუები, სატელევიზიო გადაცემები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯათინენი თავის წიგნში აღნიშნავს, ,,ლობირება იძენს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირების მიმართ კვალიფიციური დახმარების გაწევის მნიშვნელობას'', შეიძლება დავასკვნათ, რომ სადაზვერვო ზეგავლენით გადაწყვეტილების მიღება პოლიტიკურ ლიდერის დიკრედიტაციის, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნისაკენ და სხვა ქმედებებისათვის იქნეს ორგანიზებული. გასათვალისწინებელია პოლონელი მეცნიერის ტომას ჟიროს თეორია, რომლის მიხედვითაც: ,,ლობირება არის გადაწყვეტილებების მიმღები მოღვაწის შემეცნებით სფეროზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა ინფორმაციის შემოწმებით, რომელსაც ის ფლობს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, ახალი ინფორმაციის მიწოდება, კონკურენტული ინფორმაციის ბლოკირება ან ახალი ალტერნატივების შემუშავება პოლიტიკის საკითხებში''. ამ გამონათქვამში ასახული ქმედებათა

ჩამონათვალი სახელმწიფო ან/და კომპანიის მხრიდან ჯაშუშობის განსახორციელებლად ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს.

XXI საუკუნეში ლობიზმის ლეგალურად აღიარების პირობების გათვალისწინებით, იგი ფაქტობრივად ავსებს დემოკრატიულ სისტემას და იძლევა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის შესაძლებლობას.

ნაშრომში განხილულია ლობიზმი, როგორც თანამედროვე პოლიტიკური პროცესების მნიშვნელოვანი ფაქტორი, მისი სამართლებრივ-პოლიტიკური რეგულირების ასპექტები, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ლობიზმის პრაქტიკა და ისტორიული გზა.

ნაშრომი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი აერთიანებს რამდენიმე ქვეყნის გამოცდილებას ლობისტური საქმიანობების მიმართულებით, როგორც ქვეყნის შიდა, ისე საერთაშორისო ასპარეზე, ხდება ერთგვარი სისტემატიზირება ლობისტური საქმიანობების ანალიზის და პოლიტიკური მოთამაშეების საერთაშორისო სისტემაში.

მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის გამოცდილება, რაც აქვს დემოკრატიულ სახელმწიფოებს ლობიზმის მიმართულებით, გავაანალიზოთ ისტორიული რეალობა და დავსახოთ მომავლის პერსპექტივები.

ჩვენს მიერ შერჩეული საკვლევი თემის **მიზნები და ამოცანებია:**

- ლობიზმის ისტორიული რეალობისა და აწმყოს შესწავლა და ანალიზი
- პოსტსაბჭოთა ქვეყნებისა (სამხრეთ კავკასიის ქვეყნები), ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატებში ლობიზმისა და ლობისტური საქმიანობების პრაქტიკის ანალიზი
- ლობიზმის, როგორც თანამედროვე პოლიტიკური პროცესების მნიშვნელოვანი ფაქტორად წარმოჩენა საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში
- ლობიზმის თეორიის წარმოშობის საფუძვლების შესწავლა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

- ➢ სხვა ქვეყნების მაგალითების საფუძველზე ისეთი რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც შექმნის საქართველოში ჯანსაღ პოლიტიკურ გარემოს და თავიდან აგვაცილებს კორუფციას

კვლევის მეთოდები

- არსებული თეორიული მასალების განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა.
- Case study- დაგვეხმარება რეალური ფაქტების უკეთ ანალიზში.
- თვისობრივი კვლევის მეთოდები
- ✓ მონაცემთა ანალიზი
- შედარებითი მეთოდი
- ✓ პოლიტიკის კვლევის ანალიზი

- საკვლევი თემა ითვალისწინებს ისეთი აკადემიური ხარისხის ნაშრომის შექმნას, რომელშიც ასახული იქნება ლობისტური საქმიანობების პოლიტიკური ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე და მათი გავლენა როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო პოლიტიკაზე.
- კვლევის შესაბამისად, გვსურს ნათლად წარმოვაჩინოთ ეფექტიანი ლობისტური საქმიანობების პრაქტიკა და რა დადებითი მხარე ექნება ამ ეფექტიანობას საქართველოსათვის. ასევე, წარმოვადგენთ ჩვენეულ ხედვას და რეკომენდაციებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.
- დასკვნაში წარმოგიდგენთ ჩვენეულ ხედვას დასახული მიზნების და ამოცანების განსახორციელებლად.

თავი I - ლობიზმი როგორც თანამედროვე პოლიტიკური პროცესების მნიშვნელოვანი ფაქტორი

ლობიზმი, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების თანმხლები მოვლენა, უცხო არ არის თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოებისთვის, სხვადასხვა ინტერესებში და საფუძველზე მოქმედი ,,გავლენის ჯგუფების'' არსებობა წარმოადგენს იმ ობიექტურ რეალობას, რომელიც დღესდღეისობით ემყარება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფასეულობებს და პრინციპებს, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ამ თვალსაზრისით შემთხვევითი არ არის ლობიზმის გააზრება ე.წ. ,,საზოგადოებრივი პარტნიორობის'' და სხვა მსგავსი კონცეპციის ფარგლებში. რაც ხაზს უსვამს იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც ენიჭება იდეოლოგიური, სოციალური, კორპორატიული თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით გაერთიანებული ჯგუფების მონაწილეობას სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობაში, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს სახელმწიფო აპარატის საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების დახვეწას, საჯაროობას, საზოგადოებასთან ეფექტურ და ქმედით ურთიერთკავშირს და, საბოლოო ჯამში, საზოგადოებრივი კონსესუსის მიღწევას. (ლობიზმის სამართლებრივი რეგულირება საერთაშორისო პრაქტიკაში) თავის გამოხატულებას პოულობს ფინანსურად

მძლავრი და კარგად ორგანიზებული ,,გავლენის ჯგუფების'' და ,,გავლენის აგენტების'' სახელმწიფო სტრუქტურებში შეღწევის პოტენციურ საშუალებაში.[1]

1.1. ლობიზმი და მისი არსი

ტერმინი ლობიზმი წარმოიშვა ინგლისური სიტყვიდან ,,Lobby'', რომლითაც აღინიშნებოდა თემთა პალატაში პარლამენტის წევრთათვის განკუთვნილი დერეფანი, ხოლო თავისი პოლიტიკური დატვირთვა მან შეიძინა მოგვიანებით - ამერიკის შეერთებულ შტატებში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ლობიზმი ეწოდებოდა კონგრესმენთა ხმების ,,ყიდვის'' პრაქტიკას. ინგლისში ლობიზმის ცნება დამკვიდრდა გაცილებით გვიან - მე-20 საუკუნის დასაწყისში, ვინაიდან ამ ქვეყანაში ხსენებული მოვლენა მიიჩნეოდა დაუშვებლად. ამავე პერიოდიდან გავრცელდა ეს ტერმინი სხვა სახელმწიფოებშიც, თუმცა,რაც სავსებით ბუნებრივია, მისმა შინაარსმა დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და პოლიტიკური ცხოვრების დახვეწასთან ერთად განიცადა გარკვეული ტრანსფორმაცია და დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. [2]

იგი გულისხმობს საკანონმდებლო ორგანოსა და სახელმწიფოს მაღალი რანგის ჩინოვნიკებზე ზემოქმედების პრაქტიკას, რომლის მიზანია შესაბამისი ჯგუფების ინტერესების კვალად სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა

---

[1] http://aaf.ge/index.php?menu=2&jurn=0&rubr=0&mas=1682 - მალხაზ მაცაბერიძე

[2] ლობიზმის სამართლებრივი რეგულირება საერთაშორისო პრაქტიკაში, თბილისი, კორუფციის კვლევითი ცენტრი, 1998 წელი, გვ.6

(გარკვეული კანონპროექტების, სახელმწიფო შეკვეთების, სუბსიდიების მიღება, რელიგიური ან ქალთა ინტერესების დაცვა და ა.შ.). ამ მიზნით დასავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, არსებობს სააგენტოების განვითარებული ქსელი, რომლებიც გამოხატავს მსხვილი კომპანიების, პროფკავშირებისა თუ სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ–პოლიტიკური ორგანიზაციების ინტერესებს. ლობისტებად, როგორც წესი, აჰყავთ პროფესიონალი შუამდგომლები, რომლებიც მუშაობენ პოლიტიკისა და პოლიტიკური რეკომენდაციების სფეროში საკონსულტაციო ბიუროებსა და კომპანიებში. ლობისტი შეიძლება აყვანილი იყოს ხელშეკრულებით ან საკუთარი ინიციატივით წარმოადგენდეს გარკვეულ ინტერეს–ჯგუფს. ტერმინი წარმოიშვა აშშ-ში, სადაც 1946 წელს მიღებულ იქნა სპეციალური კანონი. პატლამენტზე ზემოქმედება პირადი ან წერილობითი მიმართვით ან სხვა ხერხით (მასობრივი პეტიცია, წერილები, პუბლიკაცია და სხვ.), რომელიც ორგანიზებულია რომელიმე ჯგუფის ან კერძო პირების მიერ რომელიმე კანონპროექტის მიღების ან უარყოფის მიზნით. ლობისტს აქვს უფლება, წარადგინოს წინასწარ მომზადებული კანონპროექტი, გასწიოს საკონსულტაციო მომსახურება და ა.შ.[3]

მეცნიერთა ნაწილი ლობიზმს განიხილავს, როგორც: ,,საქმიანობას პოლიტიკურ და ბიუროკრატიულ ვესტიბიულში (კ.ბეიმი); ინფორმაციის არაფორმალურ გაცვლას საჯარო ორგანოებთან (ვან შენდელენი); პოლიტიკურ გადაქყვეტილებაზე გავლენის მოხდენის საშუალებას (ჯ. ბერი, პ. ქეითსი, პ. ჰანაფორდი, ვან ჰეუვერსვინი, გ.ჯორდანი); საზოგადოების წარმომადგენელთა სახელმფიფო ორგანოებთან კომუნიკაციის პროცესს (ლ. მილბრაითი); საზოგადოებრივ და სახელმწიფო პოლიტიკაზე ზეგავლენის პროცესს (ჩ.მაკი); ორგანიზაციის ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც მიმართულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე

[3] http://www.nplg.gov.ge - ლობიზმი

ზემოქმედებისათვის საკუთარი ინტერესების წარმოდგენის მიზნით (ს. ფაინერი); ყოველი მოქალაქის უფლებას, მართოს შუამდგომლობით თავის მთავრობას, აგრეთვე კომპანიის თანამშრომლების, ანდა მის მიერ დაქირავებული სპეციალური კონსულტანტების პროფესიულ საქმიანობად (კ. კუმე).

გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლების წარმომადგენლებზე ზემოქმედებაა ლობისტის საქმე, ზემოქმედებაში კი ძირითადად იგულისხმება არგუმენტირებული დისკუსია, ფაქტებზე დაყრდნობით საუბარი, რაც ხელისუფლების წარმომადგენელს დაარწმუნებს ლობისტის სასარგებლოდ მიიღოს გადაწყვეტილება. ლობიზმს სათავე ამერიკის შეერთებულ შტატებში დაედო, 1946 წელს მიიღეს სპეციალური კანონი ლობიზმისათვის. საქართველოში კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ 1998 წლიდან ამოქმედდა, დღეს საქართველოს პოლიტიკურ ბაზარზე დიდ როლს თამაშობენ კომპანიები და ასევე ჯგუფები, რომლებიც ლობირებას უწევენ სხვადასხვა კანონპროექტებს, მოსახლეობის აზრს და ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას. ვინ არიან ლობისტები? ესენი გახლავთ ძირითადად პროფესიონალი შუამდგომლები, რომლებიც მუშაობენ პოლიტიკასა და პოლიტიკური რეკომენდაციების სფეროში, საკონსულტაციო ბიუროებსა და კომპანიებში, მათ შეუძლიათ განჭვრიტონ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მოწინააღმდეგის მომავალი ნაბიჯები და გარკვეული არგუმენტაციით დაარწმუნონ საჭირო პირები საკუთარ სიმართლეში.[4] ლობი შეიძლება იყოს სავაჭრო ორგანიზაცია, დამოუკიდებელი კორპორაცია, საზოგადოებრივ ინტერესთა ჯგუფი ან მთავრობის სხვა დონის წარმომადგენლობა. ტერმინი წარმოიშვ აშეერთებული შტატების საკანონმდებლო ორგანოს კორიდორისაგან, სადაც შესაძლებელი იყო კანონმდებელთან შეხვედრა და დარწმუნება გარკვეულ საკითხზე ხმის მიცემასთანდაკავშირებით. შტატების

[4] http://www.bulvar.ge/ experts help you communicate with government

კონსტიტუციის პირველი შესწორება საფუძველია უფლებისა, რომ გავლენა მოახდინო კანონმდებლობაზე. ის აკანონებს, რომ კონგრესმა არც ერთი კანონი არ უნდა მიიღოს ამერიკის ხალხის იმ უფლების გაუთვალისწინებლად, რომელიც მას ანიჭებს „მთავრობას შეცდომის გამოსწორების მოთხოვნის“ უფლებას.ლობირება ბოროტებას არ წარმოადგენს; ლობის უმრავლესობა საჭირო ინფორმაციას აწვდის საკანონმდებლო ორგანოს. თუმცა, არის შემთხვევები, როცა ლობი არასასურველ ცვლილებას ახდენს პოლიტიკური კამპანიისადმი ფულადი კონტრიბუციის გაღებით და არჩეული თუ დანიშნული თანამდებობის პირებისათვის განსაკუთრებული მოწყალების შეთავაზებით. ყველა ასეთი შენატანი და მოწყალება, რათქმაუნდა, გაღებულია იმ განზრახვით, რომ რაიმე საკითხთან დაკავშირებით მომავალში მათთვის სასურველი გადაწყვეტილება იქნება მიღებული. თუმცა, ხშირად ეს პროცესი მსუბუქად, მაგრამ მართებულად, შენიღბული მოსყიდვის სახეს იღებს. ლობირების გავრცელებული მეთოდებია: საკანონმდებლო მოსმენებზე ჩვენების მიცემა, არჩეული და დანიშნული მთავრობის თანამდებობის პირებთან ფორმალური თუ არაფორმალური განხილვები, შესაბამისი პირებისთვის ტექნიკური თუ კვლევის შედეგების გაგზავნა, საკითხთან დაკავშირებით გასაჯაროების მცდელობა, კანონპროექტის მომზადება და წერილების მიწერის კამპანიის ორგანიზება.

ლობიზმი წარმოიშვააშშ-ში, სადაც 1946 წელსმიღებულიქნასპეციალურიკანონი. პარლამენტზე ზემოქმედება პირადი ან წერილობითი მიმართვით ან სხვა ხერხით (მასობრივი პეტიცია, წერილები, პუბლიკაცია და სხვ.), რომელიც ორგანიზებულია რომელიმე ჯგუფის ან კერძო პირების მიერ რომელიმე კანონპროექტის მიღების ან უარყოფის მიზნით. ლობისტს აქვს უფლება, წარადგინოს წინასწარმომზადებული კანონპროექტი, გასწიოს საკონსულტაციო მომსახურება და ა.შ.

ნებისმიერ ხელისუფლებას შეუძლია დიდი და მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა იმ გარემოზე, რომელშიც მისი მოქმედება ვრცელდება, რაც არ

გულისხმობს მხოლოდ მოქმედ კანონმდებლობას, რეგულაციებს ან ხელისუფლებისაგან მომავალ ახალ პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ ინიციატივებს.ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლის ან ხელისუფლებასთან ასოცირებული პიროვნებისნების მიერ ნებისმიერმა განცხადებამ, შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ბიზნეს გარემოზე. ლობისტის საქმე, კლიენტის ბიზნეს ინტერესების სასარგებლოდ, ხელისუფლების წარმომადგენლებზე ზემოქმედებაა. ზემოქმედება გულისხმობს ხელისუფლების წარმომადგენლებთან, კონკრეტული საკითხის ირგვლივ, არგუმენტირებულ დისკუსიას და გადაწყვეტილებების მიმღები პირების დარწმუნებას.

გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ლობისტური სერვისებით, ძირითადად, დიდი კორპორაციები სარგებლობენ. თუმცა მსოფლიოში გავრცელებული ლობისტური პრაქტიკა სხვა რამეზე მეტყველებს – ლობისტური სერვისების მომხმარებლები, დიდ ბიზნესთან ერთად, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ასოციაციები, კავშირები, უნივერსიტეტები და სხვა სახის ორგანიზაციები არიან.

პროფესიონალი ლობისტის საქმიანობის მთავარი ელემენტებია:

- საკანონმდებლო და მარეგულირებელი საკითხებისკვლევა დ აანალიზი
- მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და ანგარიშგება დამკვეთთან
- ოფიციალურ მოსმენებზე, შეხვედრებზე დასწრება და მსგავსი ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობა
- კოალიციების ფორმირება, თანამებრძოლების მოძიება და მათთან აქტიური მუშაობა
- დამკვეთისთვის და ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის მიმდინარე საქმიანობის შედეგების და შესაძლო ცვლილებების პროექტებისა და ინიციატივების წარდგენა

პროფესიონალ ლობისტს უნდა შეეძლოს დამკვეთის ინტერესების დაცვა სწორ დროს, სწორ ადგილას და სწორ აღრესატთან.

პირდაპირ კომუნიკაციას ოფიციალურ პირებთან ლობისტის დროის მხოლოდ მცირე ნაწილი მიაქვს – ნებისმიერ საკითხზე, დაგეგმვის, ინფორმაციის მოძიების და სხვადასხვა მხარეებთან კომუნიკაციის პროცესებს, ბევრად მეტი დრო სჭირდება.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ლობირების როლი უმნიშვნელოვანესია, როგორ ცწესი, ლობისტური სერვისით ის პიროვნება/ორგანიზაცია ინტერესდება, რომლის საქმიანობაზეც ხელისუფლების გადაწყვეტილებას პირდაპირი გავლენა ექნება. შესაბამისად, ლობისტური ფირმები გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული პრობლემების და გართულებების პირდაპირ კომუნიკაციას ახდენენ, რის შედეგადაც ხელისუფლების წარმომადგენლებს ინფორმირებული და სწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა აქვთ.[5]

დღესდღეისობით საქართველოს პოლიტიკურ ბაზარზე საკმაოდ დიდ როლ სთამაშობენ

სხვადასხვა ლობისტური ჯგუფები და კომპანიები, რომლებიც ლობირებას უწევენ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებსა და ინტერეს-ჯგუფებს. ლობირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ამბიციური და განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომელთაც შედარებით გამოუცდელი დიპლომატიური კორპუსი ჰყავთ. ლობისტური კამპანიების გააქტიურება განსაკუთრებით აღინიშნება წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც ესა თუ ის პარტიები მიმართავენ სხვადასხვა ლობისტურ კომპანიებს, რათა მოიპოვონ გამარჯვება არჩევნებში. ადგილობრივ ქართულ ბაზარზე არსებული – ჯერკიდევ განვითარების პროცესში მყოფი ლობისტურ კომპანიები დასაქმებულნი არიან კერძო სექტორის წარმომადგენლებისა და ბიზნეს კომპანიების ლობირებით.

[5] http://www.nplg.gov.ge

ლობირება, ესაა ერთ-ერთი კანონიერი საშუალება, რომლითაც მოქალაქეთა ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო კომპანიები და სხვადასხვა „განსაკუთრებული ინტერესების ჯგუფები“ ცდილობენ გავლენა იქონიონ მთავრობის ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე. ლობისტურ საქმიანობას არეგულირებს კანონი, რაც თავისმხრივ ამ პროცესს გადააქცევს ღია საზოგადოებისათვის. მაგალითად, აშშ-ში უკვე 1964 წლიდან ფუნქციონირებს ფედერალური კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ, მსგავსი კანონი საქართველოში 1998 წლიდან ამოქმედდა. [6]
დასავლეთში ლობისტურ საქმიანობას კანონმდებლობა არეგულირებს და საკმაოდ წარმატებულ პრაქტიკადაც კი ითვლება. ლობისტური საქმიანობა ხორციელდება მართვის ყველა დონეზე, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო საქმიანობაში. საინტერესო კი ის არის, რომ ლობისტური საქმიანობის შესახებ კანონი საქართველოშიც არსებობს (საქართველოს კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ). აშშ-ში ადამიანი გაცნობისთანავე გაძლევს სავიზიტო ბარათს, სადაც მის სხვა საქმიანობასთან ერთად, აღნიშნულია ისიც, რომ არის ლობისტი. ეს დასავლეთში საკმაოდ კარგადა პრობირებული პრაქტიკაა. საქართველოში კი კარგახანს ეგონათ, რომ ლობისტობა დანაშაულებრივი ქმედება იყო. ლობისტურ საქმიანობას პროტექციონიზმად აღიქვამდნენ. პროტექციონიზმთან ბრძოლის ფორმები კი სისხლის სამართლის კოდექსით იყო განსაზღვრული. ამიტომაც ლობისტური საქმიანობა ითვლებოდა არაგამჭირვალე რეკომენდაციულ საქმიანობად.

ლობისტური საქმიანობა საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების მიზნით წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოზე ლობისტად რეგისტრირებული პირის (შემდგომში ლობისტი) ისეთი ზემოქმედება, რომელიც

[6] https://matsne.gov.ge/ საქართველოს კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ

არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით. ლობიზმის პოლიტიკური არსი გამოიხატება მის მიერ შესრულებულ ფუნქციებში: შუამავლობა მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის; საზოგადოებრივი ინტერესების პლურალიზმისთვის ორგანიზებული ხასიათი ენიჭება; დემოკრატიული წარმომადგენლობის კონსტიტუციური სისტემის შევსება (იმ ჯგუფებისათვის, რომელთაც არ გააჩნიათ სხვა შესაძლებლობა მონაწილეობდნენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალიზებაში). ლობიზმის ღირსება: ლობიზმი აკანონებს ზეწოლის ზოგიერთ გზას და ამით ამცირებს კორუფციის წარმოშობის პირობებს; მმართველობით გადაწყვეტილებებზე ზეგავლენა აიძულებს ხელისუფლების ორგანოებს "ფორმაში იყვნენ", ლობიზმი მათ გარკვეული აზრით კონკურენციას უწევს, ეჯიბრება; ლობიზმი გამოდის სამოქალაქო საზოგადოების თვითორგანიზაციის ინსტრუმენტის სახით, რომლის დახმარებითაც ხდება ამა თუ იმ კანონპროექტის საზოგადოებრივი მხარდაჭერის მობილიზება ანდა პირიქით, წინააღმდეგობის გაწევა, ზეგავლენის მოხდენა პოლიტიკაზე; იქმნება უმცირესობის ინტერესების უზრუნველყოფის შესაძლებლობები, რადგანაც ლობიზმი გამოდის პოლიტიკური პლურალიზმის გამოვლენის სპეციფიური ფორმის სახით; განასახიერებს სოციალური არასახელმწიფოებრივი სტრუქტურების, ასოციაციების: საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სხვადასხვა ფენების თავისუფლების პრინციპს; გამოიყენება თავისებური სოციალურ-პოლიტიკური სტიმულირების სახით, რომელიც მიმართულია გარკვეული მიზნებისა და ინტერესების ცხოვრებაში გატარების დასაჩქარებლად. ლობიზმის ნაკლოვანებანია:

- ლობიზმი შეიძლება იქცეს ეროვნული ინტერესების საზიანოდ და უცხოური ინტერესების პრიორიტეტული დაკმაყოფილების ინსტრუმენტად;

- ზოგჯერ გამოდის სახელმწიფო ორგანოებზე არასამართლებრივი ზემოქმედების გამტარებლად, რომლებიც "ძირსუთხრიან" ხელისუფლების საძირკველს;
- შეიძლება იქცეს უწყებრიობის, კუთხურობის განვითარებისა და დაცვის ფაქტორად;
- შეიცავს საფრთხეს "წაშალოს" საზოგადოების დემოკრატიული საწყისები, დემოკრატიული ინსტიტუტები გადააქციოს ცალკეული სახელის უუფლებო ჯგუფების მძლავრ იარაღად;

როდისაა ლობიზმი სასარგებლო საზოგადოებისათვის?

იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ნაკლოვანებები და ლობიზმმა სარგებელი მოუტანოს მთელ საზოგადოებას, აუცილებელია შესაბამისი პირობები:

1. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ნორმების რეალური მოქმედება;
2. ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა
3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება
4. მდგრადი სამოქალაქო საზოგადოება[7]

საქართველოში გვაქვს რამდენიმე კომპანია, რომელიც აწარმოებს ლობისტურ საქმიანობას: [8] გეწაძე და პატეიშვილის კომპანია, სოლუშენს"-იბიზნეს-საკონსულტაციოკომპანია. [9]

ლობი საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილია. მითუმეტეს, ლობი აუცილებელია ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც არის საქართველო.

[7] http://www.iuristi24.ge - რაარისლობირება, დადებითიდაუარყოფითიმხარეები
[8] http://www.g-p.ge - practice-areas/public-policy-and-lobbying
[9] www.solutions.ge - service/lobbying/"GDC

ცალსახად მინდა ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს არარის რომელიმე მთავრობის ლობი. მარტო საქართველოს ხელისუფლების კი არა, მთელი ქვეყნის ლობირება ხდება. საქართველოში კარგი იქნებოდა რომ არსებობდეს უფრო მეტი ლობისტური კომპანიები, რათა საზოგადოება მეტად იყოს ჩართული სახელმწიფოს განვითარებასა და წინსვლაში, რომ იყოს ლობისტური კომპანიები ამისათვის საჭიროა არსებობდეს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ნორმების რეალური მოქმედება, ეკონომიკურიდ აპოლიტიკური სტაბილურობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება, მდგრადი სამოქალაქო საზოგადოება.

ზოგადად თანამედროვე პირობებში ლობიზმი შეიძლება განვიხილოთ ინფორმაციის გაცვლისა და გადაცემის ეფექტურ საშუალებად გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც ქმედით დახმარებას უწევს გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს. ყოველივე კი სადაზვერვო საქმიანობისათვის მოწყვლად სეგმენტს წარმოადგენს, როგორც ჯაშუშობის გზით ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით, ასევე იგი ხელსაყრელი პირობაა სადაზვერვო გადაბირებისათვის.თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯათინენი თავის წიგნში აღნიშნავს, ,,ლობირება იძენს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირების მიმართ კვალიფიციური დახმარების გაწევის მნიშვნელობას'', შეიძლება დავასკვნათ, რომ სადაზვერვო ზეგავლენით გადაწყვეტილების მიღება პოლიტიკურ ლიდერის დიკრედიტაციის, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნისაკენ და სხვა ქმედებებისათვის იქნეს ორგანიზებული. გასათვალისწინებელია პოლონელი მეცნიერის ტომას ჟიროს გამონათქვამი, რომლის მიხედვითაც: ,ლობირება არის გადაწყვეტილებების მიმღები მოღვაწის შემეცნებით სფეროზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა ინფორმაციის შემოწმებით, რომელსაც ის ფლობს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, ახალი ინფორმაციის მიწოდება, კონკურენტული ინფორმაციის ბლოკირება ან ახალი ალტერნატივების შემუშავება პოლიტიკის

საკითხებში. ამ გამონათქვამში ასახული ქმედებათა ჩამონათვალი სახელმწიფო ან/და კომპანიის მხრიდან ჯაშუშობის განსახორციელებლად ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს.

სადაზვერვო ზეგავლენის მოპოვებისა და გადაბირების კუთხით ლობირების სადაზვერვო მოწყვლადობას ადასტურებს რუსი მკვლევარი ბელოვუსი, რომლის აზრით: ,,პრაქტიკაში ლობირება სუფთა კომუნიკაციური მოვლენაა. ხოლო პოლიტიკური კომუნიკაციის კლასიკური ფორმულა გასული საუკუნის 40-იან წლებში შეიქმნა ამერიკელი პოლიტოლოგი ლასსუელის მიერ. ამ ფორმულის მიხედვით, კომუნიკაცია არის პროცესი, რომელშიც კომუნიკატორი გავლენას ახდენს რეციპიენტზე, მიაქვს რა შეტყობინება მასთან რაიმე საშუალებით ან არხის მეშვეობით.

სადაზვერვო საქმიანობის ოთხივე: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური სახეობისათვის, ლობიზმი მორგებად მიმართულებას წარმოადგენს და ამ მიმართულებებით მნიშვნელოვან სადაზვერვო ინფორმაციების მოპოვებასთან ერთად, სასურველი, დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს საწინააღმდეგო საკანონმდებლო უზრუნველყოფის საშუალებასაც იძლევა. ლობიზმის სადაზვერვო მოწყვლადობის დამადასტურებელია ის გარემოება, რომ სადაზვერვო პოზიციების შესაქმნელად უცხო სახელმწიფოების სპეცსამსახურების საქმიანობის ობიექტებთაგან გამორჩეულია, აგენტურული შეღწევის ობიექტები: „დასაზვერვი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოები, დაწესებულებები, საწარმოები, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციები.“ [10] გასათვალისწინებელია, რომ „ლობისტური ჯგუფის წევრობა“ საკმაოდ მყარ ლეგენდირების (სადაზვერვო საქმიანობაში კონსპირაციის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გამოგონილი, შეთხზული ცნობები, მათ შორის

[10]თენგიზ ენდელაძე. „საგარეო დაზვერვის სამსახურები.“ თბილისი 2007.გვ. 8;

მზვერავებისა და აგენტებისათვის გამოგონილი ბიოგრაფიები. ლეგენდირება გამოიყენება ასევე სადაზვერვო პუნქტების, კონსპირაციული ბინებისა და სხვა ობიექტების დაშიფვრის მიზნით. ლეგენდა შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი და თვალსაჩინო.)[11] საფუძველია სადაზვერვო საქმიანობაში, რადგან ამ პროცესში ჩართულ პირს აქვს შესაძლებლობა შეასრულოს სადაზვერვო საქმიანობისათვის აუცილებელი ისეთი ქმედებები, როგორიცაა:

- საიდუმლო ინფორმაციის შეკრება
- გადაბირება
- სასურველი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება
- დეზინფორმაციის გავრცელება და ა.შ.

განხილული თეორიული მასალის საფუძველზე საყურადღებოა სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც ლობირების პროცესის სადაზვერვო მოწყვლადობის შემთხვევაშიშეგვიძლია ზოგადად წარმოვიდგინოთ რა სახის დამაზიანებელი ორგანიზება შეიძლება განხორციელდეს დაზვერვას დაქვემდებარებულ სახელმწიფოში. ღია წყაროებში არსებული მონაცემებით: [12] 1972 წლისათვის ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში დარეგისტრირდა 5000 ლობისტი, რომლებიც 1,5-2 ათას ზეგავლენის (მათ შორის საზოგადოებრივი ორგანიზაციების) ჯგუფს წარმოადგენდა.ამავე მიმართულებით ღია წყაროში განთავსებული

---

[11] „ლ უ გ ე ნ დ ა (ოპ ე რ ა ტ ი უ ლ). „საქართველოს დაზვერვის სამსახურის პეციალური მომზადებისა და გადამზადების ცენტრი სადაზვერვო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი მეორე გამოცემა ცვლილებებით დადამატებებით.“ ლექსიკონის შემდგენლები: ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე, პოლკოვნიკი გიორგი სურმავა, მედიცინის დოქტორი მარინა გეგელაშვილი, ნუგზარ ბაბუციძე, დავით ბაზღაძე, ვიტალი მიხელიძე, ილია ნარიმანიძე, აკაკი ცინცაძე. თბილისი. 2013. გვ.39. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/9822/3/SadazgvevoTerminebisGanmartebiti%20leksikoni.pdf;;

[12] О.А. Омельченко. „ВСЕОБЩАЯ ИСТОРИЯ ГОСУДАРСТВА И ПРАВА.“ УЧЕБНИК. Издание третье, исправленное. Рекомендовано Министерством образования. Российской Федерации в качестве учебника для студентоввысших учебных заведений, обучающихся по специальностии направлениям «Юриспруденция». Том 2 . МОСКВА. 2000. http://lawdiss.org.ua/books/a2052.doc.html;

ინფორმაციით:[13] 1950 წლისათვის ვაშინგტონში დაახლოებით 2000, ხოლო 1978 წელს ლობისტთა რაოდენობა 15000 ლობისტური ორგანიზაცია მოღვაწეობდა. 500 ლობისტური ორგანიზაციიდან 61 იაპონიის, 55-უმცირესობების, 34 სოციალური დახმარებების, 31-გარემოს დაცვის, 10-ისრაელის, 6-დემოგრაფიული კონტროლის, 15-მზარდი დისკრიმინაციის, 12-შეიარაღების წინააღმდეგ, 33 ქალების, 21 რელიგიური ლობისტური ჯგუფები იყო. 1990 წლისათვის კი ლობისტური ჯგუფების რაოდენობა 30000 ლობისტურ ორგანიზაციამდეა გაზრდილი. სტატისტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ ლობჯგუფების თვალსაზრისით კომპანიათა კუთვნილების სახელმწიფოებს მასშტაბური სადაზვერვო საქმიანობის განხორციელება შეუძლიათ. ამ პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი კორუფციის ხარისხს აქვს დაჭერილი.

ლობირების პროცესის განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ კორუფცია თანამედროვე მსოფლიოსათვის წარმოადგენს სადაზვერვო ხასიათის ექსპორტის მნიშვნელოვან საშუალებას, რომლის მეშვეობითაც სასურველი ბაზრების დაპყრობა ან/და კონკურენტი სახელმწიფოების ამ ბაზრებიდან განდევნას ემსახურება. კომპანიათა ჯაშუშობის ფონზე შესაძლებელია სახელმწიფოს მხრიდან შეფარული ჯაშუშობა ხორციელდებოდეს, რაც თანამედროვე ეტაპზე მყარად აპრობირებულ სისტემას წარმოადგენს. ამ კუთხით საყურადღებოაპოლიტიკური დაზვერვის ლონდონის ჯგუფის განმარტება, რომლის მიხედვითაც:[14] მიუხედავად იმისა, რომ დიდ ბრიტანეთში კორუფციის დონე საკმაოდ დაბალია, პრესაში ჩნდება

[13] „Информационный лоббизм.“ https://textbooks.studio/uchebnik-geopolitika/informatsionnyiy-lobbizm-23363.html;

[14]„Business lobbying and government relations in Russia: The need for newprinciples.“ by Dmitry Denisov. Michaelmas Term 2010. Sponsor: Wincott Foundation. https://reutersinstitute.politics.ox.ac.uk/sites/default /files/research/files/Business%2520lobbying%2520and%2520government%2520relations%2520in%2520Russia% 2520the%2520need%2520for%2520new%2520principles.pdf;

მონაცემები პარლამენტართა კორუფციაში მონაწილეობის შესახებ, რომ მათ კომპანიები რაღაც საქმის გასაკეთებლად თანხებს უხდიან.ლობიზმის სადაზვერვო მნიშვნელობაზე მეტყველებს საჯარო სივრცეში გავრცელებული ინფორმაცია,[15] რომლის მიხედვითაც ჩეხეთში პრო-რუსული ლობი იღწვის რუსეთთან ურთიერთობების გააქტიურებას, ხოლო მათი პოლულარული პრეზიდენტი მილოშ ზემანი გამოხატავს პრო-რუსულ ხედვებს.სადაზვერვო მოწყვლადობისა და შეღწევადობის ობიექტს კი ჩეხეთის მასმედიის საშუალებები წარმოადგენენ.

1.2 ლობიზმი და მისი რეგულირების სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექტები

ტერმინი ,,ლობიზმის'' წარმოშობა დაკავშირებულია ინგლისურ სიტყვასთან ,,Lobby''. თავის მხრივ აღნიშნული სიტყვა დამკვიდრდა ლათინური სიტყვიდან - Lobia (რაც მონასტერთა გასასვლელსა და საიდუმლო ადგილებს აღნიშნავდა). თანდაპირველად იგი მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს დერეფნებში გარკვეული თანხის სანაცვლოდ ხმების მოსყიდვასთან ასოცირდებოდა, შემდეგ კი გარკვეული პოლიტიკური პროცესის აღმნიშვნელი ტერმინი გახდა.

გერმანელი მეცნიერი კლაუს ბეიმის მიერ შემოთავაზებული განმარტებით ლობირება ნიშნავდა ,,სოციალური ჯგუფების, პალატებისა და კომპანიების სხვადასხვა ინტენსიურ ღონისძიებებს პოლიტიკურ და ბიუროკრატიულ ვესტიბიულში.[16] ვან შენდელის მიერ შემოთავაზებული დეფინიცია, რომელიც ლობიზმს ორი მნიშვნელოვანი თვალსაზრისით ახასიათებს და რომლის მიხედვით ,,ლობირება ერთის მხრივ როგორც მინიმალური კონცეფცია, წარმოადგენს

[15]Reuters Staff. „Russian intelligence wages information war, says Czech security service.“ SEPTEMBER 1, 2016. https://www.reuters.com/article/us-czech-russia-security-idUSKCN1175B2;

[16]იხ. Beyne, K. Interesengrupen in der demokratie, Munchen, 1980, გვ. 29

ინფორმაციის არაფორმალურ გაცვლას საჯარო ორგანოებთან და მეორეს მხრივ მაქსიმალური აღწერილობით, იგი გულისხმობს, როგორც საჯარო ორგანოებზე გავლენის მოხდენის არაფორმალურ მცდელობას. [17]

მეცნიერთა ნაწილი ლობირებას განიხილავს, როგორც საზოგადოების წარმომადგენელთა სახელმწიფო ორგანოებთან კომუნიკაციის პროცესს, მაგალითად ამერიკელი მკვლევარის მილბრაითის შეხედულების მიხედვით, ,,კომუნიკაცია წარმოადგენს ზემოქმედების ანდა შეხედულებათა შეცვლის ერთადერთ საშუალებას, შესაბამისად ლობირების პროცესი სრულიად წარმოადგენს კომუნიკაციის პროცესს''. [18] თავის ნაწარმოებში ,,ვაშინგტონის ლობისტები'' მილბრაითმა ჩამოაყალიბა ლობირების განმარტება, როგორც ,,სტიმულირებისა და ინფორმაციის გადაცემის საკომუნიკაციო საშუალება მოქალაქეებისთვის, რომლებიც მიმართავენ მთავრობას, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება და იმედოვნებენ, რომ გავლენას მოახდენენ მათ გადაწყვეტილებებზე. [19] ლობირების პროცესის კომუნიკაციურ ხასიათს მიუთითებენ ვენეციის კომისიის წარმომადგენლები, რომელთა შეფასებით,, ლობირება შეძლება განვმარტოთ, როგორც ზეპირი, ანდა წერილობითი კომუნიკაცია, განსხვავებული და სპეციპიკური ინტერესების მქონე კერძო პირთა ანდა ჯგუფებისა, სახელმწიფო თანამდებობის პირებთან, რათა გავლენა მოახდინონ საკანონმდებლო, პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებზე.

აღსანიშნავია, პიტერ კოეპლის შემოთავაზებული განმარტება, რომლის მიხედვითაც ,,ლობიზმი წარმოადგენს დაინტერესებული წარმომადგენლების მეშვეობით, გავლენის მოხდენის მცდელობას ან წარმატებით განხორციელებულ

[17]Van Schendelen R. National public and private lobbying, Aldershot Dartmouth, 1993, გვ. 3
[18]Milbraith, L.. Lobbying as a communication process, public opinion quarterly, 1960, volume 24, 1, 32
[19]Milbraith. L The Washington Lobbysts, Chicago: northwestern, 1963, გვ. 35

ზემოქმედებას საჯარო ხელისუფლების ორგანოების საკანონმდებლო-ადმისნისტრაციულ გადაწყვეტილებებზე. [20] აღსანიშნავია, რომ ლობიზმი, მე-20 საუკუნის შუა წლებიდან ინტენსიურად გამოიყენებოდა პოლიტიკურ ლიტერატურაში, შესაბამისად, გაფართოვდა მისი შინაარსი და იგი არა მხოლოდ პარლამენტზე ზემოქმედების ტერმინი გახდა, არამედ მის ქვეშ განიხილავდენენ სახელმწიფოსა და სამოქალაქო ურთიერთქმედების მტელ პროცესს. ინგლისელი პოლიტოლოგი, ფაინერი, ლობიზმს ახასიათებს, როგორც ,,ორგანიზაციის ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც მიმართულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე ზემოქმედებისთვის საკუთარი ინტერესების წარმოდგენის მიზნით, თუმცა ეს ორგანიზაცია, პარტიებისგან განსხვავებით, არ არის უშუალოდ თვითონ მოწოდებული მოვიდეს ქვეყნის ხელისუფლებაში. [21]

ლობიზმის მრავალმხრივ განმარტებას გვთავაზობს ბრიტანელი პოლიტოლოგი, ექსპერტი კ. კუმე, რომლის აზრით, ლობიზმი ესაა ყოველი მოქალაქის უფლების რეალიზაცია მიმართოს მთავრობას თავის შუამდგომლობით. მეორე ლობიზმი - ეს არის პროფესიული საქმიანობა კომპანიის თანამშრომლების, ანდა მის მიერ დაქირავებული სპეციალური კონსულტანტების, საქმიანი და პროფესიული ასოციაციების, პროფკავშირების და სხვა ჯგუფების მიერ, ამ ორგანიზაციის ინტერესების წარდგენისთვის პოლიტიკის ფორმირების პროცესში. ჩარლზ მაკი კი თვლიდა, რომ ლობიზმი საზოგადოებრივ და სახელმწიფო პილიტიკაზე გავლენის პროცესია. იგი მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობების ასპექტს და ხშირად ქვეყნებს შორის კავშირების განმსაზღვრელი ხდება.

---

[20] Koeppl, P. The acceptance, relevance and dominance the EU commission – A first time survey of the EU commissions civil servants, Journal of public affairs vol. 1 (N. 1). 2001, გვ. 71

[21] Finer. S. E. Anonymous Empire. A study of the Lobby in Great Britain. London, Poll mass Press, 1958, გვ. 12

გავრცელებული ინფორმაციით ლობიზმი, ლობიზმი არის ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესების გატარებისა და დაცვის მექანიზმი, ძირითადად კი გულისხობს სახელმწიფოს მაღალი რანგის ჩინოვნიკებსა და საკანონმდებლო ორგანოებზეზე მოქმედებას ლობისტების მიერ. სწორედ ეს, კლიენტის ბიზნესინტერესების სასარგებლოდ, ხელისუფლების წარმომადგენლებზე ზემოქმედებაა ლობისტის საქმე, ზემოქმედებაში კი ძირითადად იგულისხმება არგუმენტირებული დისკუსია, ფაქტებზე დაყრდნობით საუბარი, რაც ხელისუფლების წარმომადგენელს დაარწმუნებს ლობისტის სასარგებლოდ მიიღოს გადაწყვეტილება. ლობიზმს სათავე ამერიკის შეერთებულ შტატებში დაედო, 1946 წელს მიიღეს სპეციალური კანონი ლობიზმისათვის. საქართველოში კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ 1998 წლიდან ამოქმედდა, დღეს საქართველოს პოლიტიკურ ბაზარზე დიდ როლს თამაშობენ კომპანიები და ასევე ჯგუფები, რომლებიც ლობირებას უწევენ სხვადასხვა კანონპროექტებს, მოსახლეობის აზრს და ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას. ვინ არიან ლობისტები? ესენი გახლავთ ძირითადად პროფესიონალი შუამდგომლები, რომლებიც მუშაობენ პოლიტიკასა და პოლიტიკური რეკომენდაციების სფეროში, საკონსულტაციო ბიუროებსა და კომპანიებში, მათ შეუძლიათგანჭვრიტონ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მოწინააღმდეგის მომავალი ნაბიჯები და გარკვეული არგუმენტაციით დაარწმუნონ საჭირო პირები საკუთარ სიმართლეში.

ლობიზმი თავისი არსით რთულ საზოგადოებრივ და სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენს, რაც თავის მხრივ ართულებს მის მიმართ ერთგვაროვანი შეხედულების ჩამოყალიბებას. ლობიზმის აღიარებული შეხედულებების მიხედვით, იგი მოიაზრება, როგორც ცალკეული პირების, თუ დაინტერესებული ჯგუფების პოლიტიკური ზემოქმედების სპეციფიკური ფორმა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე, თავიანთი ინტერესების საკანონმდებლო დონეზე წარმოდგენის, დაცვისა და უზრუნველყოფისთვის. თანამედროვე ქვეყნებში იგი ლეგალურ

საქმიანობად განიხილება. თუმცა მისი ისტორიული განვითარება და პოლიტიკურ-სამართლებრივი რეგულირება უკიდურესი რადიკალიზმით გამოირჩეოდა.

ლობიზმის დეფინიცია პირობითად ორი მნიშვნელობით შეიძლება იქნეს გაგებული, მისი სიტყვასიტყვითი არსით (ე.წ. ვიწრო გაგებით) და იმ მრავალმხრივი პოლიტიკურ-სამართლებრივ მოვლენათა დახასიათებით, რაც მას უკავშირდება(ე.წ. ფართო გაგებით). ლობიზმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა მისი როგორც ,,ზემოქმედების მოხდენის'' საშუალების დახასიათებას შეეხება, ხოლო ფართო გაგებით, იგი გულისხმობს ღონისძიებათა მთელ კომპლექსს, რომელიც მიმართულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე ზემოქმედებისათვის. აღსანიშნავია, რომ მისმა დეფინიციამ სხვადასხვა ყვეყნების საკანონმდებლო აქტში ჰპოვა ასახვა, სადაც ლობიზმი ლეგალურ საქმიანობად არის აღიარებული და მის თაობაზე სპეციალური კანონები მოქმედებს.

ლობისტური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება ემსახურება შემდეგ მიზნებს: ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში ლობიზმის ლეგალურად დაშვების შესაძლებლობას; ლობისტური საქმიანობის კანონის ფარგლებში განხორციელების შესაძლებლობას; ლობისტურ საქმოანობასთან დაკავშირებული პროცესის საჯაროობასა და შესაბამისი სუბიექტების ანგარიშვალდებულებას.

ლობიზმის რეგულირებასთან დაკავშირებული რთული და მრავალმხრივი მოთხოვნებიდან შესაძლებელია გამოყოფილი იქნეს ის ძირითადი პრინციპები, რაც ლობისტური საქმიანობის რეგულირების აუცოლებელ პირობას განეკუთვნება. აღსანიშნავია ლობიზმის მკვლევარების რ. ჩერის, ჯ. ჰოგანისა და გ. მურპჰეის მოსაზრებები, რომლებიც გამოყოფენ ლობისტური საქმიანობის ძირითად წესებს. მათი აზრით ლობისტური საქმიანობის რეგულირება გულისხმობს, რომ ,,პოლიტიკურმა სისტემებმა ჩამოაყალიბეს ,,წესები'', რომლებიც უნდა დაიცვან ლობისტურმა ჯგუფებმა, როდესაც ისინი ცდილობენ გავლენა მოახდინონ ოფიციალურ პირებსა, საჯარო პოლიტიკური ხასიათის შედეგებსა და

საერთაშორისო ურთიერთობებზე. ავტორები გამოყოფენ ამგვარი წესების მაგალითებს:

- სახელმწიფო რეგისტრაცია ნებისმიერ საჯარო პირთან ლობისტური კონტაქტის დამყარებამდე;
- ზუსტი მითითება, თუ რომელ სამინისტროზე/სახელმწიფო სტრუქტურაზე აპირებს ლობისტი გავლენის მოხდენას, ამ მიზნით გაწეული პირადი ან დამსაქმებლების ხარჯების შესახებ ინფორმაციის სახელმწიფოსადმი წარდგენით;
- უნდა არსებობდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი სია ლობისტების შესახებ, მათ შორის მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი ლობისტური დეტალების შესახებ ინფორმაციით;

ლობიზმის რეგულაციების ტენდენციების გათვალისწინებით, თანამედროვე მსოფლიოში ლობისტური საქმიანობის ორი მოდელი არსებობს - პირველი ესაა ანგლოსაქსური (გავრცელებული აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში და ა.შ) და მეორე - ევროპული ანუ კონტინენტური მოდელი (გავრცელებულია გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთში). ანგლოსაქსური მოდელის მიხედვით, იმ ქვეყნებში სადაც იგი გავრცელებულია მოქმედებს ერთიანი საკანონმდებლო რეგულირება, ხოლო ევროპულ მოდელში ლობისტური საქმიანობის შესახებ, ერთიანი საკანონმდებლო ბაზის ნაცვლად, ეს საკითხი დარეგულირებულია ცალკეული სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის მომწესრიგებელი აქტებში.

ამერიკელი მეცნიერი ჯ.ბერი ლობიზრების პროცესის დახასიათებისას, მის კომუნიკაციურ მნიშვნელობასთან ერთად აღნიშნავდა, რომ ,,ლობისტს ყოველთვის ამოძრავებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის სურვილი და სწორედ ესაა ლობირების არსი. ობიექტს წარმოადგენს კომუნიკაცია, ხოლო

1.3 აშშ როგორც ლობიზმის სამშობლო

ლობიზმის შეერთებულ შტატებში სახელმწიფოსთან ერთად დაიბადა, ხოლო დემოკრატიული მართვის სისტემამ მის სწრაფ განვითარებას შეუწყო ხელი. მაგალითად, ხშირი არჩევნები გულისხმობდა პოლიტიკოსების დამოკიდებულებას საზოგადოებრივ აზრზე, ხოლო შეკავების და გაწონასწორების სისტემა ძალაუფლების სხვადასხვა შტოებს შორის მუდმივ დიალოგს უწყობდა ხელს. შესაბამისად, ქვეყანაში გაჩნდა მთელი რიგი პროფესიონალი პოლიტიკოსებისა, რომელთაც საკუთარი ამომრჩევლების განწყობები სცოდნა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კანონის ფარგლებში კოლეგებზე ზემოქმედების მექანიზმები სჭირდებოდა.[22]

ლობისტური საქმიანობის იურიდიულ ფუნდამენტს წარმოადგენს კონსტიტუციის პირველი შესწორება, რომელიც რელიგიური თავისუფლების გარდა აკანონებს სიტყვის თავისუფლებას და კონგრესისადმი მიმართვის უფლებას.

XIX საუკუნეში ლობიზმი ფედერალურ დონეზე უფრო ნაკლებად იყო გავრცელებული, ვიდრე შტატების დონეზე. სიტუაცია შეიცვალა „მოოქროვილისაუკუნის“ დასაწყისში (1870-1890-იანიწლები), ხოლო შემდეგ პროგრესიზმის ეპოქაში (1890-1920-იანიწლები). ქვეყნის სწრაფმა ეკონომიკურმა განვითარებამ და ფედერალური ხელისუფლების უფლებების გაზრდამ დედაქალაქში პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენის ქონის ინტერესის ზრდა გამოიწვია.

სხვა ფაქტორი, რომელმაც ლობიზმის განვითარებას შეუწყო ხელი, იყო ძლიერი კორპორაციების შექმნა. მსხვილი ბიზნესი უარს არამბობდა როგორც უკანონო (მოსყიდვა), ასევე ლეგალური მეთოდების გამოყენებაზე –

[22] გოგიბერიძე,გ. ლობიზმი და მისი რეგულირების სამართლებრივი ასპექტები,გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2014 წელი, გვ.

პოლიტიკოსების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მედიის დაფინანსება. კონგრესმენები, სენატორები, მოსამართლეები და სხვა მაღალჩინოსნები სხვადასხვა ლობისტური სტრუქტურების ქსელში იყვნენ გახვეული. 1912 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დროს მომავალმა პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა განაცხადა, რომ აშშ-ს ხელისუფლება არის გავლენის ჯგუფების მოსამსახურე და მას საკუთარი ნება არ გააჩნია. სწორედ მაშინ იქცა მსხვილ ბიზნესზე ხელისუფლების დამოკიდებულება საზოგადოების კრიტიკის ობიექტად. 1912 წელს დემოკრატი ვილსონის გამარჯვება დაკავშირებული იყო მის განცხადებასთან, დაესრულებინა კორუფცია და მონოპოლიათა ყოვლისშემძლეობა.

ლობისტური საქმიანობის განსაკუთრებული გააქტიურება 1970-იანი წლებიდან შეინიშნება, რომელიც მსხვილი კომპანიების საქმიანობას უკავშირდება.ლობისტების წყალობით მათ მოახერხეს შრომის კოდექსის რეფორმის ჩაგდება, კორპორატიული გადასახადის შემცირება და მთელი რიგი რეგულაციების გაუქმება. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული ლობისტური კომპანიების დაქირავება მსხვილი ბიზნესის მხრიდან ამერიკული პოლიტიკის მუდმივ თანმდევად იქცა.

ლობიზმი ამერიკულ პოლიტიკაში დიდ როლს ასრულებს. იგი ზეგავლენას ახდენს პოლიტიკოსების გადაწყვეტილებებზე გადასახადებთან დაკავშირებით, ასევე სხვადასხვა პროგრამების დაფინანსებაზე. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ლობისტებს ამერიკაში იმავდროულად არ ენდობიან. როგორ ხდება ისე, რომ ერთდროულად ყველაზე მეტად ზეგავლენის მქონე პირები არიან არასანდოები? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ისევ თავად ლობიზმის განსაზღვრება გვეხმარება, რომელიც მოქალაქეთა უფლებას გულისხმობს გადაწყვეტილებების მიმღებ პირებზე ზეგავლენის მოხდენისთვის. სწორედ ასეთი მარტივია ლობიზმი. ,,ზეგავლენის ჯგუფები'' წარმოადგენენ სწორედ ლობიზმის სახეს. მაგრამ სულ ეს არ არის. ლობიზმი ასევე თავისთავში გულისხმობს დიდ ბიზნესს; ადამიანები

რეგისტრირდებიან ოფიციალურად კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებით, რათა მოახდინონ პრობლემატულ საკითხებზე ზეგავლენა გადაწყვეტილებების მიმღებ პირებთან. ამერიკის შეერთებულ შტატებს გააჩნია ყველაზე მდიდარი გამოცდილება ლობიზმის საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ 1946 წელს მიღებული იქნა ფედერალური კანონი ლობისტური საქმიანობის რეგულირების შესახებ, მნიშვნელოვანია, აგრეთევ 1938 წელს მიღებული კანონი ,,საზღვარგარეთის ქვეყნების გავლენის აგენტების რეგისტრაციის შესახებ'' (FARA). ეს კანონები იყო ერთგვარი მცდელობა ლობისტური საქმიანობის რეგულირიბესითვის.

მიიჩნევა, რომ ლობიზმის, როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენის, დამკვიდრების საქმეში, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველმა შესწორებამ, რომლის მიხედვით გარანტირებული იქნა მოქალაქეთა მიერ სახელმწიფო ორგანოებისადმი პეტიციით მიმართვის შესაძლებლობები. ამასთან, სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჩნდა პირველად იდეა და შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივები მოეხდინათ ლობისტური საქმიანობის რეგულირება და საკანონმდებლო ჩარჩოში მოექციათ აღნიშნული პროცესი.

თუმცა თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც არ არსებობდა ერთგვაროვანი მიდგომა ლობისტურ საქმიანობასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიის შტატის 1877 წლის კონსტიტუცია, რომლის მიხედვით ლობიზმი კანონგარეშე საქმიანობად იქნა მიჩნეული. კერძოდ, კონსტიტუციის მიხედვით ,,ლობიზმი წარმოადგენს დანაშაულს და გენერალურმა ასამბლეამ უნდა მიიღოს დადგენილება შესაბამის სანქციაზე.[23] (Georgia Constitiution of 1877 art 1 2.5. ამასთან, მოგვიანებით, ამერიკის შეერთებულ

[23] [georgianinfo.halileo.usg.edu/con1877b]

შტატში (მასაჩუსეტის, ინდიანას, კანზასის, ვისკონტის შტატებში და ა.შ) მიღებულ იქნა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ითვალისწინებდა ლობისტური საქმიანობის განმახორციელებელი პირების რეგისტრაციასა და მათი შემოსავლების საჯაროობას.

ამერიკის შეერთებულ შტატებს დასჭირდა გარკვეული დრო ფედერალურ დონეზე მოეხდინა ლობისტური საქმიანობის რეგულირება. ამ მხრივ პირველ ნაბიჯად მიიჩნევენ 1913 წელს, როცა ,,ტარიფების შესახებ'' კანონის მიღებასთან დაკავშირებით წარმოქმნილმა სკანდალმა გამოავლინა აქტიურად მოქმედი ცალკეული ლობისტური გაერთიანებების საქმიანობა და რასაც, საგამოძიებო კომისიის შექმნა მოჰყვა. იმავე წელს კონგრესში შეტანილი იქნა რამდენიმე ბილი და რეზოლუცია ლობისტური საქმიანობის მოწესრიგების საკითხთან დაკავშირებით. თუმცა საბოლოოდ რაიმე საკანონმდებლო აქტი არ მიღებულა. 1928 წელს სენატორმა კარრუეიმ ასევე წარადგინა ახალი კანონპროექტი ლობიზმის რეგულირების თაობაზე, რომელიც მოწონებული იქნა კიდეც სენატის მიერ, მაგრამ მან ვერ ჰპოვა მხარდაჭერა წარმომადგენელთა პალატაში. ასევე უშედეგოდ დამთავრდა სენატორ ბლეკისა და კონგრესმენ სმიტის მცდელობაც, მათ 1935 შესაბამისად სენატისა და წარმომადგენელთა პალატაში შეიტანეს კანონპროექტი, რომელიც შეიცავდა მოთხოვნას ლობისტების რეგისტრაციის და გავლენის ჯგიფების მიერ თავიანთი საკანონმდებლო ინტერესებისა და ლობიზმისთვის განკუთვნილი დანახარჯების მონაცემების თაობაზე. მართალია სენატმა 1935 წელს, ხოლო წარმომადგენელთა პალატამ 1936 წელს მოიწონეს კანონპროექტი, მაგრამ მათ შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობის გამო შემთანხმებელმა კომისიამ ვერ შეძლო კონსესუსის მიღწევა და კანონი საბოლოოდ ვერ იქნა მიღებული, რითაც ლობიზმის სამართლებრივი რეგულირების საკითხის გადაწყვეტა გარკვეული ვადით გადაიდო.

ამასთან, 1938 წელს, ისიც მხოლოდ უცხოურ ორგანიზაციებთან მიმართებაში, გახდა შესაძლებელი ლობისტური საქმიანობის რეგულირებასთან დაკავშირებით მიღებული ყოფილიყო სპეციალური აქტი, კერძოდ აღნიშნულ პერიოდში მიღებული იქნა კანონი ,,საზღვარგარეთის ქვეყნების გავლენის აგენტების რეგისტრაციის შესახებ'' (FARA), რომელიც მხოლოდ უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა რეგისტრაციის საკითხს ეხებოდა. ეს კანონი გარკვეული ცვლილებებითა და დანამატებით დღესაც მოქმედებს. აღნიშნული კანონის ძირითადი მიზანი იყო შეეზღუდა უცხოელი აგენტების და უცხოური პროპაგანდის (განსაკუთრებით ნაცისტური მოძრაობის) გავლენა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაზე. შესაბამისად, იგი შეეხებოდა მხოლოდ უცხო ქვეყნებისა და უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა ლობირების რეგულირების საკითხს. ესკანონი ავალდებულებდა ორგანიზაციებს, რომლებიც სხვა სახელმწიფოების ინტერესებისთვის მოქმედებდნენ, დარეგისტრირებულიყვნენ იუსტიციის სამინისტროში და რეგულარულად გაეგზავნათ ანგარიში საკუთარი საქმიანობის დადაფინანსების წყაროების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ,,უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ'' (FARA) კანონი მოითხოვს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი უცხოელი წარმომადგენლის ინტერესების შესაბამისად მოქმედი აგენტების სავალდებულო რეგისტრაციას და მის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობას.

,,უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ'' კანონი (FARA) შეიცავს პოლიტიკური აქტივობის დეფინიციას, რომელიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ლობისტური საქმიანობა, რაც შესაბამისად წარმოშობს აღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების რეგისტრაციისა და მისი საქმიანობის საჯაროობის ვალდებულებას. კანონის მიხედვით პოლიტიკური აქტივობა გულისხმობს ,,ნებისმიერ საქმიანობას,

რომლის დროსაც მის განმახორციელებელ პირს განზრახული აქვს ან ცდილობს გავლენა მოახდინოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დაწესებულებასა ან თანამდებობის პირზე, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო და საშინაო პოლიტიკის შემუშავების, მიღების ანდა შეცვლის მიზნით ანდა გავლენა მოახდინოს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებზე უცხო ქვეყნის პოლიტიკური პარტიების ან მთავრობის ინტერესების შესაბამისად.

ლობიზმის განვითარების ქრონოლოგიას თუ მივყვებით, ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 1946 წლის ,,ლობიზმის რეგულირების შესახებ'' (FRLA). იგი უკვე წარმოადგენდა ფედერალურ დონეზე ერთიან სისტემატიზირებულ აქტს. მიუხედავად იმისა, რომ ლობიზმში იგულისხმებოდა დაქირავებულ პროფესიონალთა საქმიანობა, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ იგი აღიქმებოდა, როგორც სიტყვის თავისუფლებისა და დემოკრატიის მექანიზმი. ამ კანონის ძირითადი მიზანი იყო შეეზღუდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო პოლიტიკაზე უცხოელ აგენტთა გავლენა. მაღალი ალბათობით აღნიშნული გადაწყვეტილება კონტრსადაზვერვო ხასიათიისაა, რადგან უცოელ აგენტთა სადაზვერვო მიზნებით ქვეყანაში ქაოსურ შემოყწევასა და ქმედებებს დამაზიანებელი ზემოქმედება შეიძლება ჰქონოდათ ეროვნულ უსაფრთხოებაზე.

1946 წლის ამერიკის შეერთებული შტატების ,,ლობიზმის რეგულირების შესახებ'' კანონის მიხედვით (FRLA) , ნებისმიერი პირი, რომელიც ანაზღაურებით ანდა სხვა მოტივით, ეწეოდა ლობისტურ საქმიანობას, რომლის მიზანსაც შეადგენს აშშ-ს კონგრესზე ზემოქმედება, კანონპროექტის მიღების ან უარყოფის შესახებ, სანამ აღნიშნული მიზნით განახორციელებდა რაიმე მოქმედებას, უნდა დარეგისტრირებულიყო წარმომადგენელთა პალატის კლერკთან და სენატის მდივანთან, რისთვისაც მათთვის წერილობითი ფორმით უნდა წარედგინა

განცხადება, რომელშიც მოცემული იქნებოდა მონაცემები მისი და იმ პირის შესახებ, ვის ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, დაქირავების პერიოდი, გასამრჯელოს რაოდენობა, ამ მიზნით გამოყოფილი თანხების ოდენობა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში ამოქმედდა ლობიზმის ფედერალური რეგულირებისკანონი (Federal Regulation of Lobbying Act), რომელიცკონგრესმა 1946 წელსმიიღო. კანონმა პირველად განსაზღვრა ლობისტის ცნება. ეს არის ადამიანი, „რომელიც თავად, ან აგენტების და დაქირავებული პირების მეშვეობით, პირდაპირ ან ირიბად დაკავებულია საჩუქრების და შემოწირულობების შეგროვებით, რომელიც შემდეგ გამოიყენება პირდაპირი ან ირიბი გავლენის მოსახდენად აშშ-ს კონგრესის საკანონმდებლო პროცესზე“. კანონი ავალდებულებდა ლობისტებს დარეგისტრირებულიყვნენ კონგრესში და მოეხსენებინათ მისთვის კონგრესმენისთვის 500 დოლარზე მეტი ღირებულები სშემოწირულობის გადაცემის შესახებ.

1954 წელს უმაღლესმა სასამართლომ შეამცირა კანონის მოქმედების არეალი. კონგრესის წევრებს მიეცათ ლობირების უფლება, თუ ამაში ისინი საკუთარ სახსრებს ხარჯავდნენ. ამასთან ლობისტების რიცხვიდან ამოშალეს ის ჯგუფები, რომლებიც ირიბი ლობირებით, ანუ საზოგადოებრივი აზრის შექმნით იყვნენ დაკავებული. ამან მნიშვნელოვნად იმოქმედა კანონის ეფექტურობაზე. იგი მხოლოდ ერთხელ გამოიყენეს. 1956 წელს Superior Oil Corporation-ის ორი ლობისტი დააჯარიმეს სამხრეთ დაკოტას სენატორ ფრენსის კეისისთვის 2500 დოლარის უკანონოდ გადაცემისგამო.

FRLA-ს შეცვლის აუცილებლობამ და კორუფციულმა სკანდალებმა გამოიწვია ლობისტური საქმიანობის გამჟღავნების კანონის (Lobbying Disclosure Act) მიღება. მისი განხილვა სამი წელი (1992-1995) მიმდინარეობდა. კანონი ლობისტად მოიხსენიებდა ყველას, ვინც სამი თვის განმავლობაში იღებდა 2500 დოლარს ლობისტური საქმიანობისთვის და მას უთმობდა საკუთარი დროის 20%-ს.

ორგანიზაციის შემთხვევაში თანხა ათი ათას დოლარს შეადგენდა. კომპანიები და კერძო პირები, რომლებიც ლობიზმით იყვნენ დაკავებული, უნდა დარეგისტრირებულიყვნენ კონგრესში.

LDA-ს გამკაცრება მოხდა 2007 წელს, როდესაც მიიღესკანონი სამართლიანი ლიდერობისა და ღია ხელისუფლების შესახებ (Honest Leadership and Open Government Act). მან გაამკაცრა კონტროლი ლობისტურ კომპანიებზე, კონგრესის წევრებზე და მაღალჩინოსან სახელწიფო მოხელეებზე. მაგალითად, სენატორებს, რომლებიც დატოვებდნენ თანამდებობას, ლობისტური საქმიანობის დაწყება ორი წლით ეკრძალებოდათ. მაღალჩინოსან თანამდებობის პირებს ლობისტური საქმიანობა აეკრძალათ იმ სფეროში, რომელსაც ისინი მთავრობაში მუშაობის დროს კურირებდნენ.

ლობისტებს აეკრძალათ კონგრესმენებისთვის საჩუქრის გადაცემა, რომელიც კანონმდებელთა ეთიკის ნორმებს არღვევდა. კონგრესმენებს და სენატორებს თავად უნდა აენაზღაურებინათ კერძო თვითმფრინავებით ფრენის ხარჯებიც.

მიუხედავად ლობისტური საქმიანობის გამჭვირვალობის საერთო ტენდენციისა, „გავლენითმოვაჭრეები“ საკუთარ ძალაუფლებას სულ უფრო ზრდიან. საარჩევნოკამპანიების ღირებულების ზრდა აიძულებს პოლიტიკოსებს მიმართონ ლობისტურ კომპანიებს მოსახლეობის მხარდაჭერის მისაღებად. აშშ-ში ლობისტური კომპანიების სამოქალაქო კონტროლით რამდენიმე ორგანიზაციაა დაკავებული: Center for Responsive Politics; Public Citizen; Consumer Watchdog დაა.შ.

Center for Responsive Politics-ის ინფორმაციით, რომელიც კონგრესის ოფიციალურ მონაცემებს ეყრდნობა, ვაშინგტონში დარეგისტრირებულია 11455 ლობისტი. ყოველწლიურად ინტერესთა ჯგუფები ლობიზმში ჯამურად სამ მილიარდ დოლარზე მეტსხარჯავენ. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ლობიზმში დახარჯულ ყოველ დოლარზე კორპორაციას უშუალოდ 220 დოლარის მოგებას

იღებს. აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ ლობისტური საქმიანობის ნაწილი, მაგალითად სატელევიზიო რეკლამა, დაბალ დონეზე პოლიტიკური კამპანიებისდაფინანსება, რეკლამა ინტერნეტში რეგულაციების ქვეშ არ ხვდება, რაც ლობისტური სფეროს რეალური შემოსავლების შეფასებას ართულებს.

ლობისტების კლიენტებს შორის დომინირებენ ამერიკული მსხვილი კორპორაციები და კომერციული გაერთიანებები. ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტიურობდა უმსხვილესი ბიზნეს-ლობი – სავაჭრო პალატა, ასევე უძრავი ქონების სააგენტოთა ეროვნული ასოციაცია და კონგლომერატი General Electric. „ობამაქეარის“ მიღების პერიოდში გაიზარდა სამედიცინო სფეროს საწარმოების ურთიერთობა ლობისტებთან, რომელთაც 2013 წელს მათთვის სასურველი იმიჯის შესაქმნელად 117 მილიონი დოლარი დახარჯეს.

ლობისტური კომპანიების წარმატებული საქმიანობის შედეგია კანონპროექტ SOPA-სჩავარდნა,რომელიც ინტერნეტში მეკობრეობის წინააღმდეგ იყო მიმართული. თავდაპირველად კანონპროექტს მხარს უჭერდნენ როგორც დემოკრატები, ასევე რესპუბლიკელები, თუმცა ინტერნეტ კომპანიების ლობისტური საქმიანობის შემდეგ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ კანონი ინტერნეტში ცენზურას შეუწყობდა ხელს, კონგრესმა მის მიღებაზე უარი განაცხადა.

ლობისტურმა საქმიანობამ წარმატებას მიაღწია უსაფრთხოების სფეროშიც, როდესაც 2013 წლისთებერვალში 950 მილიონი დოლარის ღირებულების სამხედრო კონტრაქტი მოიგო ბრაზილიურმაკომპანია Embraer-მა და მისმა ამერიკულმა პარტნიორმა Sierra Nevada Corp.-მა. მათ კონკურენციას უწევდა ამერიკული კორპორაცია Beechcraft. ბრაზილიური კომპანიის გამარჯვება პირდაპირ დამოკიდებული იყო ლობისტების საქმიანობაზე, რომლებმაც კონგრესმენები ბრაზილიური პროდუქციის უპირატესობაში დაარწმუნეს.

2015-2016 წლების საარჩევნო ციკლისას Wall Street-ის ბანკებმა და ბიზნეს კორპორაციებმა არჩევნებზე გავლენის მოსახდენად ორი მილიარდი

დოლარი დახარჯეს. თანხების 55% რესპუბლიკელ, ხოლო 45% დემოკრატ კანდიდატებზე განაწილდა. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ სენატორების მიღებული წლიური შემოწირულობების საშუალო მაჩვენებელი 900 000 დოლარს სცდება. კონგრესმენების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 300 000 დოლარის ტოლია.

ამერიკული საკანონმდებლო პროცესი აგებულია განსხვავებულ ელიტათა ჯგუფების შეჯიბრზე, რომლის შედეგადაც იბადება ეროვნული ინტერესების ცნება. ეს სისტემა იწვევს ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის სხვა სახელმწიფოებს – ღიად გამოხატოს თავისი ინტერესი და მიიღოს მონაწილეობა ამ პროცესში. შედეგად აშშ-ის მოკავშირეების უმრავლესობამ კარგად აითვისა ამერიკელი კონგრესმენების ენა, რის შედეგადაც ისინი ახერხებენ საგარეო პოლიტიკური პროცესებით მანიპულირებას. ისრაელელების, სომხების, ირლანდიელების, პოლონელების და უკრაინელების ლობმა აშშ-ის შესთავაზა საკუთარი ისტორია, რომელიც კარგად ეწერება შიდა პოლიტიკური ბრძოლის და კულტურული ომების კონტექსტში.

თურქეთის ლობის მუშაობის შედეგად აშშ-ის აკადემიურ საზოგადოებაში და ანალიტიკურ გამოცემებში ფართოდ წარმოჩინდა სომეხთა გენოციდის თურქული ვერსია. სანქციების ქვეშმყოფი ირანის მხრიდან აქტიურმა ლობისტურმა საქმიანობამ ხელი შეუწყო ბირთვული შეთანხმების გაფორმებას. [24]

[24] www.law.cornell.edu.ge - Federal Regulation of lobbying act of 1946

თავი 2 - ლობიზმი ევროპასა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში

ლობიზმის ჩამოყალიბებასა და განვითარებას თავისი ისტორიული საფუძვლები აქვს თითოეულ ქვეყანაში. ჩვენი მიზანია განვიხილოთ ლობიზმი, როგორც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მექანიზმი ევროპისა და სამხრეთ კავკასიის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ქვეყნების მაგალითზე.

უკანასკნელი წლების განმავლობაში აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპისა და რიგ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში აქტუალური გახდა ლობისტური საქმიანობის გამჭვირვალობისა და აღნიშნული პროცესის კანონის მკაცრი რეგულირების სისტემაში მოქცევის ტენდენცია.

მე-20 საუკუნის მიწურულს ევროპისა და ზოგიერთი პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში მიმდინერე პოლიტიკური სისტემის ცვლილებებმა, რასაც თან ახლდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბება-განვითარება, სოციალური და ეკონომიკური განვითარების ახალი მექანიზმების დამკვიდრება,

წარმომადგენლობითი ორგანოს გაძლიერება, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აღნიშნულ ქვეყნებში ლობიზმის დამკვიდრებას და განვითარებას. [25]

2.1 ლობისტური ტრადიციები ევროპის ქვეყნებში

ლობიზმის განვითარების ისტორია სავსეა კანონმდებლებსა და მოხელეებზე დაუშვებელი მეთოდებით ზეწოლის ფაქტებით. ტერმინი"ლობირება"ნიშნავდა ფულით ხმების შეძენას. დიდ ბრიტანეთში მსგავსი პოლიტიკა დიდი ხნის მანძილზე დასაგმობად ითვლებოდა და ეს სიტყვა ლექსიკურ ფონში მხოლოდ XX საუკუნეში შევიდა, შემდეგ კი სხვა ქვეყნებშიც ისესხეს. ტერმინ ლობიზმის პოპულარობის პიკი ინგლისურენოვან ლიტერატურაში XX საუკუნის 50-60-იან წლებზე მოდის, მაგრამ მას უკვე რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობა ქონდა. ხშირად"ლობიზმის"ქვეშ ესმოდათ სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედების მთელი არასაპარლამენტო პროცესი. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია ლობიზმის განსაზღვრება ინგლისელი მკვლევარის ს.ე. ფაინერისმიერ (1958). მისი განმარტებით ლობიზმი არის "ორგანიზაციის ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფო ხელისუფლებისო რგანოებზე საკუთარი ინტერესებისათვის ხელშეწყობის მიზნით, ამასთან ეს ორგანიზაციები პარტიების საპირისპიროდ, მზადარ არიან თავად განახორციელონ უშუალო ხელისუფლება ქვეყანაში". [26]

ლობიზმის ინსტიტუტი დღეს პრაქტიკულად ყველა ევროპულ ქვეყანაში არსებობს. რათქმაუნდა, ლობისტური მოღვაწეობის მასშტაბები და ფორმები სხვადასხვა ქვეყნებში ერთნაირი არ არის, მაგრამ ლობიზმი, როგორც ცალკეული

[25] გოგიბერიძე,გ. ლობიზმი და მისი რეგულირების სამართლებრივი ასპექტები,გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2014 წელი, გვ. 162

[26] www.aaf.ge - ლობიზმი და ხელისუფლება

ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების რეალიზების განსაკუთრებული სისტემა და პრაქტიკა სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებზე მიზანმიმართული ზეგავლენის გზით, იქცა დემოკრატიული საზოგადოების პოლიტიკური პროცესის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად.

ლობიზმის პრაქტიკას ევროპულ ქვეყნებში დიდი ტრადიცია აქვს. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში არსებული პრაქტიკა გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ლობისტად რეგისტრაცია, ლობისტური საქმიანობის განხორციელება, როგორც წესი ლობისტისთვის შესაბამის სახელმწიფო ორგანოზე ან საჯარო თანამდებობის პირზე ზეგავლენის გარკვეული დამატებითი შესაძლებლობის მინიჭებასთანაა დაკავშირებული, რაც გულისხმობს სხვადასხვა ვადის ქმედითუნარიანობის საშვების გაცემას, საპარლამენტო საშუალებებით სარგებლობას, კომიტეტის სხდომებზე დასწრებას (დანიის ფოლკეტინგი) და სხვა.

ზოგიერთი ევროპული ქვეყნის კონსტიტუცია და მოქმედი კანონმდებლობა უზრუნველყოფს ეროვნული ორგანოების შექმნას, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა ჯგუფის ეკონომიკური და სოციალური ინტერესები, ასევე უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

უპირველეს ყოვლისა, აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტ საბჭოთა ქვეყნების ლობისტური საქმიანობები გამოირჩევა ერთიანი და სისტემატიზირებული საკანონმდებლო აქტებით, რომელთა მიხედვით განსაზღვრულია ლობისტური საქმიანობის განხორციელების პირობები, ლობისტად რეგისტრაციის წესი, ლობისტური საქმიანობის განმახორციელებელი პირების ანგარიშებისა და შესაბამისი მონაცემების საჯაროობის მექანიზმები. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს 1995 წლის ფედერალური კანონი შეიცავს ლობისტური საქმიანობის ამგვარ განმარტებას, რომ,,ლობისტური საქმიანობა ნიშნავს ლობისტურ კონტაქტებს ანდა ცდებს ასეთი სახის კონტაქტების დამყარებისთვის, რაც გულისხმობს ლობისტური

საქმიანობის მომზადებას და დაგეგმავს, კვლევას, რომელიც გამოიყენება კონტაქტების დამყარების დროს აგრეთვე სხვა პირების ლობისტური საქმიანობის კოორდინაციას''. სლოვენიის აქტის მიხედვით კი ლობირება გულისხმობს ლობისტტა საქმიანობას, რომელსაც ისინი ეწევიან დაინტერესებული ორგანიზაციების სახელით არასაჯარო ზეგავლენის განსახორციელებლად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებზე და პირებზე, რომლებიც ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ნორმატიული აქტის და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტის გაცემასთან დაკავშირებით.

სლოვენიის აქტის მიხედვით განმარტებულია ლობირების სუბიექტი, რასაც აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებიც იყენებენ. ამ აქტის მიხედვით ლობირების სუბიექტს („lobbied person'') წარმოადგენენ ჩინოვნიკები და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მოსამსახურეები და პირები, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ნორმატიული აქტის და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტის გამოცემასთან დაკავშირებითდა რომლებთანაც ლობისტი ამყარებს კომუნიკაციას ლობირების განხორციელების მიზნით. [27]

ლობირების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები ცალკეულ შემთხვევაში ასევე განსაზღვრავენ სუბიექტთა წრეს, რომელთაც არ აქვთ ლობისტური საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება. მაგალითად ,,ლობისტური საქმიანობის შესახებ'' უნგრეთის კანონის მიხედვით, ლობისტური საქმიანობის განხორციელების უფლება არა აქვთ: 1. პარლამენტის წევრებს, ევროპის პარლამენტის წევრებს, მთავრობის ხელმძღვანელს, წარმომადგენლობითი ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის

[27] გოგიბერიძე,გ. ლობიზმი და მისი რეგულირების სამართლებრივი ასპექტები,გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2014 წელი, გვ. 167

ორგანოების წევრებს, მერს, გენერალური ასამბლეის ხელმძღვანელს; 2. სახელმწიფო საბიოუჯეტო დაწესებულების, რომელთა საქმიანობა განოსაზღვრება საჯარო ფინანსების აქტით, დირექტორებს, თანამდებობის პირებს და წევრებს, რომლებიც ახორციელებენ საჯარო უფლებამოსილებებს სახელმწიფო დაწესებულებებში ან სასამართლოში.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის გამოცდილებისგან განსხვავებით, კონტინენტური (დასავლეთ ევროპის) ქვეყნების უმეტესობას არ გააჩნია ერთიანი, სისტემატიზირებული სპეციალური ატები, რომლებიც დაარეგულირებს ლობისთტა საქმიანობას ამ ქვეყნებში. აღსანიშნავია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ,,ბუნდესტაგი'', სადაც მოქმედებს ,,დაინტერესებულ პირთა'' რეგისტრაციის სპეციალური დამატებითი წესები. ანალოგიურად მოიხსენებენ ლობისებს საფრანგეთში - ,,დაინტერესებული პირები''.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობაში ლობირება უმეტესად მოისაზრება, როგორც მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოებზე ზემოქმედება და ლობირების ობიექტებად გვევლინებიან საკანონმდებლო ორგანოს წევრები. როგორც რონიტი და შნაიდერი აღნიშნავდნენ, ,,ლობირება ითვლებოდა და ითვლება დრესაც გერმანიაში უცხო სიტყვად ფარული პოლიტიკური პროცესების ძლიერი კონოტაციით, სადაც მოიაზრება არაკანონიერი გავლენა. [28]

[28] Report on the legal framework for the regulation of Lobbying in the council of Europe member States, by Raj Chari, John Hogan, Gary Merpgy

2.2 სომხური ლობის გავლენა საერთაშორისო პროცესებზე

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან სომხეთს საკმაოდ ძლიერი ლობი გააჩნია.

სომხეთის ხელისუფლებაში მოვიდნენ ძალები, რომლებიც, პრორუსულობის მიუხედავად, მაინც უფრო მეტად ვაშინგტონიდან კონტროლდებოდნენ, კარაპეტიანსაც, ვარდანიანსაც, აბრამიანსაც - ანუ ყველა იმ ლობისტს, რომლებიც არწმუნებდნენ კრემლს, რომ სომხეთში ვითარებას სრულად აკონტროლებდნენ, სტატუსი ჩამოუქვეითდათ.ფაშინიანს მხარი დაუჭირა ამერიკის სომხურმა ასოციაციამ - ძალზე გავლენიანმა სტრუქტურამ. იმისათვის, რომ შეენიღბათ გადატრიალება სომხეთში, რომელმაც შესაძლოა, რუსეთსა და ირანს შორის მყიფე სტრატეგიული არხის გაწყვეტამდე მიგვიყვანოს, ცდილობენ, საქართველოზე გადაიტანონ ყურადღება. ამ დემარშს - სირიის მიერ სოხუმისა და ცხინვალის აღიარებას წმინდად პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. [29]

კრემლში ძალიან ძლიერი, ანტიქართული პოლიტიკის გამტარებელი "სომხური ლობი" მოქმედებს და სწორედ სერგეი ლავროვის უწყებაში მოქმედი გავლენიანი სომხური ძალები დგანან სირიის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების უკან. ამის შესახებ კრემლთან დაახლოებული და ანტიქართული გამოსვლებით ცნობილი რუსი ჟურნალისტი მაქსიმ შევჩენკო საუბრობს.

იგი ამბობს, რომ კავკასიაში რუსეთის მთავარი დასაყრდენი საქართველო უნდა იყოს, რადგან ნამდვილი კავკასიელები ქართველები არიან და კრემლი სწორედ თბილისთან უნდა ცდილობდეს ურთიერთობის მოგვარებას, მაგრამ ამაში

---

[29] www.acent.ge.com "სირიის მიერ სოხუმისა და ცხინვალის აღიარება აბსოლუტური აბსურდი იყო და მის უკან მოსკოვში მოქმედი სომხური ლობი დგას"

მუდმივად უშლის ხელს კრემლში მოქმედი გავლენიანი ანტიქართული ლობი, როგორც სომხური, ისე აზერბაიჯანული.

სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელ მამუკა არეშიძის თქმით, კრემლში პრეზიდენტის ადმინისტრაციის აპარატი და ლავროვის უწყება ერთმანეთთან დაპირისპირებულია. შევჩენკო კი, რომელმაც 2012 წელს ისლამი მიიღო, პუტინის ადმინისტრაციასთან დაახლოებული ფიგურაა და გამორიცხული არ არის, ეს იყოს ამ ჯგუფიდან წამოსული მესიჯი ლავროვის წინააღმდეგ.

ამასთან, არეშიძე ამბობს, რომ კრემლში სომხური ლობი უაღრესად ძლიერია და შესაძლოა, სირიაზე გავლენის მოსახდენად სომხური ძალების აქტიურობა მართლაც დიდი იყო, მაგრამ ეს იქნებოდა ერთ-ერთი მიზეზი და არა გადამწყვეტი, რადგან მოსკოვში პუტინის გარეშე გადაწყვეტილებას ვერავინ მიიღებს.

მაქსიმ შევჩენკო კრემლში მოქმედი დიდი ანტიქართული ლობის შესახებ რადიო "ეხო მასკვისთან" საუბრობს. მისი თქმით, ბაშარ ასადს, რომელსაც თბილისთან დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა და რომლის მთავრობასაც თბილისი აღიარებდა, ანტიქართული გადაწყვეტილების მიღება არაფერში სჭირდებოდა და ამას მხოლოდ ერთ შემთხვევაში გააკეთებდა - თუ ვინმე მოსკოვიდან მასზე ამ კუთხით ზემოქმედებას მოახდენდა. რუსი ჟურნალისტის მტკიცებით, ეს წნეხი "სომხური ლობიდან" მოდის.

"ეს ნაბიჯი მოულოდნელად გადაიდგა ძალზე პოზიტიური მოლაპარაკებების ფონზე გრიგორი კარასინსა მის ქართველ კოლეგას შორის. აშკარა იყო დაახლოება და პოზიტივი სხვადასხვა მიმართულებით და, აი, ამ ფონზე სრულიად მოულოდნელად იდგმება მორიგი, გამოხატულად ანტიქართული ნაბიჯი - სოხუმისა და ცხინვალის ახალი აღიარება მრავალწლიანი პაუზის შემდეგ.

"რაზე მეტყველებს ეს ყველაფერი? რა, რუსეთს მართლაც სისტემატური დაუოკებელი სურვილი აქვს, მუდმივად "ჩექმოს" საქართველო?! რა თქმა უნდა, არა. არსებობენ გარკვეული ლობისტური ძალები, რომლებიც უბიძგებენ რუსეთის

ხელმძღვანელობას ანტიქართული პოლიტიკისაკენ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სომხურ ლობთან, რომელიც წარმოდგენილია რუსეთის საგარეო პოლიტიკის სფეროშიც და სხვაგანაც", - ამბობს შევჩენკო და განმარტავს, რომ სომხური ლობის მიზანია, რუსეთ-საქართველოს ბოლოდროინდელი აშკარა დაახლოების პროცესი ჩაშალოს.

მისი თქმით, ამ ანტიქართულ ნაბიჯს სხვა მიზეზიც ჰქონდა. რუსი ბიზნესმენები - კარაპეტიანი, ვარდანიანი, აბრამიანი - ეს "ლობისტები" კრემლს არწმუნებდნენ, რომ სომხეთში ვითარებას სრულად აკონტროლებდნენ და ახლა, როდესაც ნიკოლ ფაშინიანი მოვიდა ხელისუფლებაში, რომელსაც გავლენიანი სტრუქტურა, ამერიკის სომხური ასოციაცია უჭერს მხარს, სტატუსი ჩამოუქვეითდათ და იმისათვის, რომ შეენიღბათ ეს მდორე გადატრიალება სომხეთში, ცდილობენ, საქართველოზე გადაიტანონ ყურადღება სირიის მიერ სოხუმისა და ცხინვალის "აღიარებით".

"მე მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს, რადგან სწორედ საქართველო იყო და არა ვინმე სხვა ჩვენი მთავარი მოკავშირე კავკასიაში," - აღნიშნავს შევჩენკო, რომელიც, ასევე, ამბობს, რომ ქართველებთან ურთიერთობის "დალაგება" ძალიან ადვილია, რადგან, მაგალითად, ქართული ინტელიგენცია, ელიტა რუსულ მენტალობასთან და რუსეთთან ძალიან ახლოს დგას და სურს, პუტინმა მის ნათქვამს კარგად მოუსმინოს.

"ჩვენი კავშირი ძლიერია, მაგრამ ვიღაცები მას წყვეტენ და ჭრიან. რატომ? იმიტომ, რომ თუ რუსეთი საქართველოსთან მოილაპარაკებს, მაშინ სამხრეთი კავკასიის პრობლემები უფრო ადვილად მოგვარდება. სწორედ ამიტომაა აუცილებელი ნამდვილ კავკასიელებთან მოლაპარაკება და არა იმათთან, ვინც იქ მოსულები არიან და თავს კავკასიელებად ასაღებენ," - დასძენს შევჩენკო.

მამუკა არეშიძის თქმით, მაქსიმ შევჩენკომ, რომელიც სერიოზული ანტიქართული განწყობით გამოირჩეოდა, განსაკუთრებით მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, უცებ შეიცვალა დამოკიდებულება საქართველოსა და კავკასიის რეგიონის მიმართ მას შემდეგ, რაც ისლამი მიიღო.

"ის მიიჩნევს, რომ რუსეთი არის მართლმადიდებლებისა და მუსლიმების ქვეყანა და ვიღაც სხვა კონფესიების წარმომადგენლებს იქ არაფერი ესაქმებათ. სხვა კონფესიებში შედიან სომხებიც.

"რაც შეეხება მის ამ განცხადებას, არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს პოზიცია კრემლის ერთ-ერთი ჯგუფისა, რომელიც არის ლავროვისა და მისი ჯგუფის მოწინააღმდეგე. კრემლში ასეთი ძალიან სერიოზული ჯგუფია - პრეზიდენტის ადმინისტრაციის აპარატი და მისი ხელმძღვანელობა. ეს ჯგუფი საკმაოდ ანტაგონისტურად არის განწყობილი საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიმართ.

"ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ შევჩენკოს ეს განცხადება ამ შიდა დაპირისპირების გამოძახილი იყოს. თუმცა რუსეთის მხრიდან სირიაზე ზემოქმედების გადაწყვეტილებაში სხვა მიზეზები უფრო საინტერესოა და მეორეც, არ მჯერა, რომ ლავროვმა გადაწყვეტილება პუტინისგან დამოუკიდებლად მიიღო. ასეთი რამ რუსეთში არ ხდება. შეიძლება პუტინი დაარწმუნა ამ გადაწყვეტილების სისწორეში, მაგრამ გადაწყვეტილებას საბოლოოდ ბეჭედი პუტინმა დაუსვა," - მიიჩნევს არეშიძე.

მისი თქმით, მიზეზების მთელი კასკადია, რამაც განაპირობა მოსკოვის მხრიდან ზეგავლენა დამასკოზე.

"ერთი არის ის, რომ, რუსეთის პოზიციიდან გამომდინარე, საქართველო ძალიან მიუახლოვდა ნატოს. ამას გარდა, რუსეთს პატარ-პატარა წყენაც აქვს ჩვენი, მაგალითად, სტრასბურგის სასამართლო, სადაც რუსეთისთვის ძალიან მძიმე სიტუაცია შეიქმნა. ამას თვითმხილველი გეუბნებით. რუსეთი ელოდება, რომ მის

წინააღმდეგ სერიოზული განაჩენი იქნება გამოტანილი 2008 წლის ომთან დაკავშირებით და თან უკვე აქვს 2006 წლის დეპორტაციასთან დაკავშირებული განაჩენიც. შეიძლება ისეთი დიდი სიმძიმის არ იყოს სასამართლოს დასკვნა, როგორსაც ჩვენ ველოდებით, მაგრამ გადაწყვეტილება რუსეთისთვის სასიამოვნო მაინც არ იქნება.

"კიდევ სხვა მიზეზებიცაა, წვრილი თუ მსხვილი, რამაც, საბოლოო ჯამში, რუსეთის ხელისუფლება აიძულა, სამაგიეროს გადახდის პროცედურა დაეწყო. შევჩენკო რასაც ამბობს, ეს მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ერთი, რუსეთში, ისე როგორც სან-ფრანცისკოში და პარიზში, სომხური ლობი ძალიან დიდია, მაგრამ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი და არა გადამწყვეტი," - დასძენს არეშიძე[30]

2.3 აზერბაიჯანული ლობი და მისი ეფექტურობა

აზერბაიჯანის ხელისუფლება გამოეხმაურა ჟურნალისტურ გამოძიებას, რომლის მიხედვითაც, აზერბაიჯანის მმართველმა ელიტამ 2.9 მილიარდი დოლარი გაათეთრა. პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადებით, „სომხური ლობი“, რომელიც ჯორჯ სოროსთან ერთად მოქმედებს, ილჰამ ალიევისა და მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგ ბინძურ კამპანიას აწარმოებს.

პრესამსაახურის განცხადებით, აზერბაიჯანის პრეზიდენტს და მის ოჯახის წევრებს არანაირი კავშირი არ აქვთ იმ ბრალდებებთან, რომლებიც ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის გაშუქების პროექტის სტატიაშია აღნიშნული.

[30] http://www.resonancedaily.comშევჩენკოს განცხადება სომხურ ლობთან დაკავშირებით- რუსეთის ხელიდუფლებაში სომხური ლობი მოქმედებს, რომელიც ანტიქართულ გადაწყვეტილებაზე მუშაობს.

,,ამასთან პრეზიდენტის ან მისი ოჯახის წევრების დაკავშირებას აბსოლიტურად დაუსაბუთებლი და პროვოკაციული ხასიათი აქვს. ცნობილია, რომ მის უკან ჯორჯ სოროსი და მისი ხელქვეითები დგანან, რომელთაც საერთაშორისო არენაზე მოპოვებული აქვთ ფალსიფიკატორების იმიჯი'' აცხადებს პრესსპიკერი ალიჯ ასანოვი.

მისივე თქმით, სომხური ლობის კვალზე მეტყველებს ისიც, რომ აზერბაიჯანის მმართველი პირების მიერ ფულის გათეთრებისა და ლობისტური ქსელის თემაზე Guardian-ის სტატიის ერთ-ერთი ავტორი სომხური წარმოშობის დინა ნაგაპეტიანია.

ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის გაშუქების პროექტის ჟურნალისტური გამოძიების მიხედვით, 2012-2014 წლებში, როდესაც აზერბაიჯანში მასობრივად დევნიდნენ ჟურნალისტებსა და აქტივისტებს, აზერბაიჯანის მმართველმა ელიტამ ფიქტიური ბრიტანული კომპანიების მეშვეობით 2.9 მილიარდი დოლარი გაათეთრა. გათეთრებულ ფულს ევროპელ პოლიტიკოსებს უხდიდნენ. გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, მოსყიდული პოლიტიკოსები ევროკავშირში აზერბაიჯანის ინტერესებს ლობირებდნენ და იმ რეზოლუციებს ბლოკავდნენ, რომლებიც აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების დარღვევებს გმობდნენ.[31]

პოლიტიკურ საკითხებში აზერბაიჯანის პრეზიდენტის თანაშემწე ალი გასანოვმა განაცხადა, რომ ბაქოს წინააღმდეგ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ კამპანია შემთხვევით არ წამოიწყო.

,,დასავლეთში აზერბაიჯანის წინააღმდეგ თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად მოქმედი ჯგუფები, მათ მიერ კონტროლირებადი

[31] www.reginfo.ge -აზერბაიჯანი ,,სომხურ ლობს'' და სოროსს ალიევის წინააღმდეგ კამპანიაში ადანაშაულებს

ორგანიზაციები და მედია გააქტიურდნენ ჩვენს ქვეყანაში დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებების წინ და ყველანაირად ცდილობენ როგორც აზერაიჯანის, ასევე ამ ღონისძიების დისკრედიტირებას" - დაწერა გასანოვმა Facebook-ზე.

ასამბლეის მიერ გამოქვეყნებული ანგარაშის მიხედვით, ასამბლეის მოქმედი და ყოფილი წევრები აზერბაიჯანის ლობირების სანაცვლოდ დიდ თანხებს იღებდნენ. სკანდალური ანგარიშის გამო თანამდებობა უკვე დატოვა ევროპის სახალხო პარტიის ფრაქციის თავმჯდომარე ცეზარ ფლორინ პრედამ. ევროსაბჭომ უნდა გადაწყვიტოს, როგორი რეაქცია ექნება ამ ანგარიშზე.

220-გვერდიან ანგარიშში, რომელიც 23 აპრილს გამოქვეყნდა ევროსაბჭოს საპარალამენტო ასამბლეის ყოფილი პრეზიდენტი პედრო აგრამუნტი და იტალიელი პოლიტიკოსი ლუკა ვოლონტე აღმოჩნდნენ. ამ უკანასკნელს აზერბაიჯანის ხელისუფლებისაგან ორი მილიონი დოლარის მიღებაში ადანაშაულებენ. ქრთამის აღებაში სხვა პარლამენტარებიც არიან ეჭვმიტანილები.

დოკუმენტის ავტორები ანგარიშში აღნიშნავენ, რომ მათ არ გააჩნიათ მკაფიო მტკიცებულება იმისა, რომ აგრამუნტი აზერბაიჯანის ხელისუფლებისგან ქრთამს იღებდა, მაგრამ ევროპის საბჭოს ყოფილი პრეზიდენტის მხრიდან აზერბაიჯანის ინტერესების ლობირება ნათლად იკვეთება.[32]

თავი III - ლობიზმი და საქართველო

[32] www.imedinews.ge - „ბაქოში აცხადებენ, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ანტიაზერბაიჯანული კამპანიაა"

არავისთვის უცხო არ არის ის, რომლობის ტური საქმიანობის მიზანია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენა. გამონაკლისი ამ მხრივ არც საქართველოა. საქართველოს როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ). შესაბამისად, აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნიდან ასობით ათასი აშშ დოლარი ირიცხება. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) დიდი ხნის მანძილზე აკვირდება აშშ-ში საქართველოს ლობისტურ საქმიანობას და გთავაზობთ ანალიტიკური სტატიების სერიას ამ თემაზე. აღნიშნული კვლევისთვის IDFI იყენებს შემდეგ წყაროებს: საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები, www.fara.gov-ზე არსებული მონაცემთა ბაზა და ასევე ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია Sunlight Foundation-ისპროექტ Influence Explorer-ის 1 ფარგლებში შექმნილი მონაცემთა ბაზა. აღნიშნული კვლევისთვის პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა“ ფარგლებში IDFI-მ 2014 წლის 18 ივლისს გაუგზავნა სამი წერილი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, ეროვნული უშიშროების საბჭოსა და საქართველოს მთავრობის კანცელარიას. IDFI თითოეული დაწესებულებიდან ითხოვდა აშშ-ს ლობისტურკომპანიებთან და ასევე სხვა უცხო ქვეყნებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ასლებს 2008-2013 წლებისთვის. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოდან 2014 წლის 24 ივლისს მიღებული პასუხის თანახმად, ლობისტურსაქმიანობებთანდაკავშირებითუცხოქვეყნისკომპანიებთანგაფორმებულ იხელშეკრულებები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ხოლო საჯარო სახით ხელმისაწვდომია მხოლოდ ის ხელშეკრულებები, რომლებიც განსაიდუმლოვდა ეროვნული უშიშროების საბჭოს 2010 წლის 1 ივლისის 8-გ/შ სხდომის ოქმის რეკომენდაციისა და უშიშროების საბჭოს მდივნის 2012 წლის 5 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე, სულ 22 ხელშეკრულება. თუმცა, ამ პასუხშივე

არის აღნიშნული, რომ ხელშეკრულებების ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე www.fara.gov. [33]

3.1 ლობიზმი და მისი ძირითადი მახასიათებლები საქართველოს სინამდვილეში

ქართულ პოლიტიკურ წრეებს მართებს გაითვალისწინოს აღნიშნული ვითარება, გაიაზროს ამერიკული პოლიტიკური სისტემის მუშაობის თავისებურება და გააძლიეროს ლობისტური საქმიანობა აშშ-ში, რაც სხვა საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტების დამატებითი კომპონენტი იქნება და ამერიკულ პოლიტიკაზე არაპირდაპირ გავლენას მოახდენს.

ტრადიციული დიპლომატიის პარალელურად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს წარმომადგენლობამ ქვეყნის კულტურული და ისტორიული მახასიათებლების პოპულარიზაცია მოახდინოს, აქტიურად იმუშაოს ამერიკულ მედიასთან, რათა შექმნას საზოგადოებრივი განწყობა და გაზარდოს ქვეყნის მამართ ცნობადობა. ამერიკის მიმართულებით არსებული აქტივობების შედეგიანობის გასაზრდელად აუცილებელია ლობისტურ ორგანიზაციებთან მუშაობის სტრატეგიის შემუშავება. სტრატეგია უნდა და იგეგმოს ქვეყნის იმ პრიორიტეტების შესაბამისად, რომლითაც მას სურს წარმოჩინდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი მოაწესრიგებს არსებულ პოლიტიკას და დაეხმარება ქვეყანას უფრო ეფექტურად მოახდინოს სტრატეგიული პარტნიორის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენა.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება რომ ლობისტური კომპანიებისა და საკუთარი თავის PR-ისთვის თანხებს არ იშურებს, ყველასთვის

[33] www.IDFI.ge - საქართველოს ლობისტური საქმიანობა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2008-2015 წლებში - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის კვლევა

დღესავით ნათელია, მაგრამ ოფიციალურ და გამჭვირვალე ინფორმაციას რა თანხები იხარჯება ამ მიმართულებით, ხელისუფლება გულმოდგინედ მალავს. საერთაშორისო ორგანიზაციების, მათშორის „საერთაშორისოგამჭვირვალობა - საქართველოს", მიერ ჩატარებულ კვლევებზე დაყდნობით შეიძლება ითქვას, რომ დაქირავებული უცხოური ლობისტური კომპანიების რაოდენობა და შესაბამისად, დახარჯული თანხების ოდენობა 2008 წლის საომარი მოქმედებების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2004 წლიდან 2010 წლის ბოლომდე საქართველოს მთავრობას ამერიკული ლობისტური კომპანიებისთვის, ხაზს ვუსვამ, მხოლოდ ამერიკული ლობისტური კომპანიებისთვის - 2.600.000 აშშ დოლარი აქვს გადახდილი. ამ თანხის ნახევარზე მეტი კი, 2010 წელს იქნა გადახდილი! საქართველოს მთავრობამ ისეთ ცნობილლობისტურკომპანიებს, როგორებიცაა The Podesta Group, The Iftaca Group და Gephardt Group 1,306,800 ამერიკული დოლარი გადაუხადა. ამ თანხიდან ყველაზე მეტი, 600.000 აშშდოლარი, The Podesta Group-ს შეხვდა, რადგან სწორედ ამ კომპანიის დიდი ძალისხმევით შედგა აშშ-ს პრეზიდენტსა და სააკაშვილს შორის შეხვედრა ამა წლის იანვრის შუა რიცხვებში.

საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 12 იანვარს ერთ წლიანი კონტრაქტი გააფორმა Podesta Group-თან, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ლობისტური კომპანიაა ვაშინგტონში. კონტრაქტის მიხედვით, რომლის ღირებულებაც 600.000 აშშ დოლარს შეადგენდა, ლობისტური კომპანია ვალდებულებას იღებდა საქართველოს ხელისუფლებისთვის ლობირება გაეწია აშშ-ის კონგრესსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ასევე უზრუნველეყო საერთაშორისო მედია მომსახურება. ფირმის მიერ აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტში წარდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მას ორგანიზება უნდა გაეწია საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრებისთვის აშშ-

ის კონგრესის და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებთან. (ცნობისთვის: Podesta Group 1988 წელს დააფუძნეს ძმებმა ტონი და ჯონპოდესტებმა. ამჟამად ტონი პოდესტა ვაშინგტონში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ლობისტად ითვლება, ხოლო ჯონ პოდესტა ობამას გარდამავალი ადმინისტრაციის თავმჯდომარე იყო). ასევე 2010 წლის იანვარში, საქართველოს მთავრობამ ამერიკელი, ყოფილი დემოკრატი კონგრესმენის რიჩარდ გეფჰართის ლობისტური ფირმა „Gephardt Group Govenment Affairs, LLC“ დაიქირავა, რომლეთანაც 436 800 აშშდოლარიანი, ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ორივე კონტრაქტს საქართველოს ხელისუფლების სახელით ეროვნული უშიშროების საბჭოს იმდროინდელი მდივანი, ეკა ტყეშელაშვილი აწერს ხელს. საქართველოს მოსახლეობისთვის PR-აქციებისა და უცხოური ლობისტური კომპანიების მომსახურებაზე დახარჯული თანხების შესახებ ინფორმაცია ცნობილი მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ აშშ-ის ხელისუფლება მკაცრად იცავს კანონს და თავს საკუთარი მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულად თვლის და ამერიკის ნებისმიერი მოქალაქისთვის მსგავსი ინფორმაცია სრულიად გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომია: აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის ინტერნეტ საიტი **http://www.fara.gov/** ყველასთვის ღიაა. იგივე სიტუაციაა მსოფლიოს ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში.

საქართველოში კი, ქვეყნის ხელისუფლება, რომელიც „დემოკრატიულობის“ შირმას არის ამოფარებული, მსგავს თემებს ტაბუს ადებს. ხელისუფლებას არანაირად არ აწყობს დაანგრიოს მითი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა მას მხარსუჭერს, ხოლო თუ რა თანხა ჯდება ეს „მხარდაჭერა“, რა ღირს ჩვენი ხელისუფლების ქმედებების „წარმოჩინება“ და უცხოელებისთვის „თვალებში ნაცრის შეყრა“, ეს ხალხმა არ უნდა გაიგოს.

საქართველოს მოსახლეობას, რომელიც მიუხედავად უმძიმესი ეკონომიური თუ სოციალური გაჭირვებისა, იხდის გადასახადებს, აქვს ლეგიტიმური უფლება ზუსტად

იცოდეს, თუ სად, როგორ და, რაც მთავარია, რა მიზნით იხარჯება მის მიერ ბიუჯეტში შეტანილი თანხები. ეს უფლება უნდა გამოვიყენოთ და მკაცრად მოვთხოვოთ ხელისუფლებას, დაგვისახელოს და ზუსტად მიგვითითოს სახლმწიფო ბიუჯეტის რომელი კონკრეტული მუხლით არის გათვალისწინებული მსგავსი PR-აქციებისა და უცხოური ლობისტური კომპანიების მომსახურეობის დაფინანსება.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ შეიქმნა მონაცემთა ბაზა, სადაც განთავსდა საქართველოს და ამერიკულ ლობისტ ფირმებს შორის დადებული როგორც მოქმედი, ისე შეწყვეტილი ხელშეკრულებები, და რეგისტრირებული აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს მიერ უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტით. ამ ბაზაში მოცემული ინფორმაციით, საქართველოს მთავრობას უცხოელი ლობისტებისთვის 2.600.000 დოლარზე ორჯერ მეტი თანხა აქვთ გადახდილი.

• "ორიონ სოლუშონსი" - კონტრაქტის ღირებულება 800 000 აშშ დოლარი
• დანიელედელმანი - 10.11.2004-31.12.2004. გასამრჯელო: 163 850 აშშ დოლარი. მიზანი: აშშ-ში მედია გაშუქების ხელშეწყობა; კომუნიკაციების გეგმის შემუშავება; გაეროში პრეზიდენტის ვიზიტის პერიოდში ინტერვიუების ორგანიზება; CBS-ის"60 წუთთან" კონტაქტი; სტრატეგიული კონსულტაციის გაწევა და მესიჯის შემუშავება.
• Orion Srtategies LLC – 06.04.2004 – 11.05.2008. გასამრჯელო: 590 000 აშშ დოლარი. მიზანი: კონსულტაციის გაწევა, სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარება, PR, ადვოკატირება აშშ-ში და ევროპაში, საქართველოს NATO-ში გაწევრიანების ხელშეწყობა და შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილება და საქართველოში განვითარებული პროცესების შესახებ აშშ-ს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ინფორმირება.
• "ასპექტკონსალტინგი" – 2007 წ. კონტრაქტის ღირებულება: 500 000 ევრო

(დაახლოებით 690 000 აშშდოლარი). მიზანი: ევროკავშირში და ნატოში საქართველოს გაწევრიანების ხელშეწყობა.

• Glover Park Group, LLC - 22.08.2008-25.10.2008. კონტრაქტის ღირებულება: 200 000 აშშ დოლარი. მიზანი: PR კონსულტაციები, კომუნიკაციები და აშშ-ს ფართო საზოგადოებაზე ორიენტირებულ მედია სტრატეგიის შემუშავება.

• Orion Strategies LLC – 06.11.2008- 31.12.2008. კონტრაქტის ღირებულება: 200 000 აშშ დოლარი. მიზანი: კონსულტაციის გაწევა, სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარება, PR, ადვოკატირება აშშ-ში და ევროპაში, საქართველოს NATO-ში გაწევრიანების ხელშეწყობა და შესაბამისი კრიტერიუმების და კმაყოფილება და საქართველოში განვითარებული პროცესების შესახებ აშშ-ს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ინფორმირება.

• Public Strategies Inc – 05.03.2009-14.08.2009. კონტრაქტის ღირებულება: 300 000 აშშ დოლარი. მიზანი: მედია და საზოგადოებასთან ურთიერთობა, დასავლეთის მედიის საშუალებით საქართველოს მთავრობის რეპუტაციის განმტკიცება.

• Maniatis, Gregory A. – 10.02.2009-31.12.2009. კონტრაქტის ღირებულება: 231.000 აშშ დოლარი. მიზანი: საქართველოს მთავრობისთვის სტრატეგიული კომუნიკაცია, მათ შორის პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრისთვის: გამოსვლების, ოპ-ედ-ების, სტატიების და შეფასებითი განცხადებების მომზადებაიყო.

• Kunin, Daniel Lous – 23.02.2009-31.12.2009. კონტრაქტის ღირებულება: 231.000 აშშ დოლარი. მიზანი: პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრისთვის: გამოსვლების, სტატიების და შეფასებითი განცხადებების მომზადება.

• Orion Strategies LLC – 09.12.2009- 18.01.2010. კონტრაქტის ღირებულება: 10000 აშშ დოლარი. მიზანი: საქართველოს ხელისუფლებისთვის კონსულტაციის გაწევა, სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარება, PR, ადვოკატირება აშშ-შიდა ევროპაში, საქართველოს NATO-ში გაწევრიანების ხელშეწყობა და შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილება, საქართველოში განვითარებული პროცესების

შესახებ აშშ-ს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ინფორმირება.

• Glover Park Group, LLC - 26.01.2009-26.01.2010. კონტრაქტის ღირებულება: 360 000 აშშ დოლარი. მიზანი: PR კონსულტაცია, კომუნიკაციები და აშშ-ს ფართო საზოგადოებაზე ორიენტირებული მედია სტრატეგია.

• Public Strategies, Inc. – 17.08.2009-26.01.2010. კონტრაქტის ღირებულება: 237 000 აშშ დოლარი.

• Gephardt Group Govenment Affairs, LLC – 22.01.2010-31.12.2010. კონტრაქტის ღირებულება: 436 800 აშშ დოლარი. მიზანი: ლობირება და სამთავრობო ურთიერთობების კუთხით მომსახურების გაწევა.

• Maniatis, Gregory A./The Ithaca Group LLC – 29.01.2010-31.12.2010. კონტრაქტის ღირებულება: 270 000 აშშ დოლარი.

• The Podesta Group – 12.01.2010-31.12.2010. კონტრაქტის ღირებულება: 600 000 აშშ დოლარი. მიზანი: ლობირება, მთავრობასთან ურთიერთობა, საზოგადოებასთან ურთიერთობა და მედია მენეჯმენტი.[34]

3.2საქართველოს ლობისტური საქმიანობა აშშ-სა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში

უნდა აღინიშნოს, რომ ლობისტური საქმიანობის შესახებ ინფორმაციაზე წვდომის პრაქტიკა საქართველოსა და აშშ-ში კარდინალურად განსხვავებულია. თუკი საქართველოში ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტიდან ლობისტურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში, განსაიდუმლოების შემდეგ ხდება საჯაროდ 6 ხელმისაწვდომი, აშშ-ში 1938 წლიდან მოქმედი კანონმდებლობით (The Foreign Agents Registration Act,

[34] www.democrats.ge - რა ღირს საქართველოს მთავრობის ლობირება

FARA) ყველა მონაცემი რაც უკავშირდება უცხო ქვეყნებიდან ამერიკაში მოქმედ ლობისტურკომპანიებთან ურთიერთობის საკითხებს უნდა იყოს ხელმისაწვდომი და საჯარო. აღნიშნული აქტის მიხედვით ლობისტური კომპანიები ან პირები არა მხოლოდ არეგისტრირებენ საკუთარ კავშირებს სხვა ქვეყნებთან დაასაჯაროებენ დადებულ ხელშეკრულებებს, არამედ ყოველ ექვს თვეში ერთხელ ანახლებენ ინფორმაციას გაწეული მომსახურებისა და მიღებული საფასურის შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული აქტის ფარგლებში აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურვებ-გვერდზე www.fara.gov განთავსებულია როგორც აშშ-ს კონგრესისთვის წარდგენილი 6-თვიანი ანგარიშები, ისე ლობისტური კომპანიების საქმიანობის დოკუმენტაციის მონაცემთა ბაზა. [35]

კონგრესისთვის წარდგენილი ანგარიშებიდან შესაძლებელია ამომწურავი ინფორმაციის მიღება, თუ რომელი ქვეყანა ან იურიდიული პირი რომელი კომპანიების საშუალებით ახორციელებს ლობისტურ საქმიანობას აშშ-ში. სწორედ ამ ანგარიშებიდან ირკვევა, რომ საქართველო აშშ-ში ლობისტურსაქმიანობას ეწევა 1991 წლიდან. მაშინ ერთადერთი კონტრაქტი საქართველოს გაფორმებული ქონდა John Adams Associates-თან და აქტივობები მოიცავდა საქართველოს მთავრობისთვისკონსულტაციების გაწევას აშშ-ს კერძო და საჯარო სექტორებთან ურთიერთობის ფარგლებში, ასევე დახმარებას ვაჭრობის, ტურიზმის, მარკეტინგისა და სხვა სფეროებში. გარდა ამ დახმარებისა, კომპანიამ საკუთარ ოფისში გახსნა საქართველოს საინფორმაციო მომსახურების ცენტრი. გაწეული მომსახურებისთვის საქართველოს მთავრობამ კომპანიას 1991 წლის დეკემბერში გადაუხადა 132,000 აშშ დოლარი.

არსებული ღია წყაროების საფუძველზე IDFI-ის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი საქართველოს (როგორც სახელმწიფო ისე ფიზიკური და

[35] Fara.gov.ge – The foreign agents registration acts

იურიდიული პირების) ლობისტური საქმიანობა აშშ-ში 2008 წლიდან დღემდე. ამ პერიოდში საქართველოდან სულ 9 დაწესებულება/პირი იღებდა აშშ-ში ლობისტური კომპანიების მომსახურებას. 1. საქართველოს მთავრობა 2. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია 3. საქართველოს ეროვნული უშიშროებისსაბჭო 4. საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატი 5. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 7. ბიძინა ივანიშვილი, ქართული ოცნება და თავისუფალი დემოკრატები 8. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 9. სალომე ზურაბიშვილის საინიციატივო ჯგუფი აღნიშნული დაწესებულებებისა და პირების ინტერესების წარმოსაჩენად 2008-2015 წლებში დაქირავებული იყო სულ 19 სხვადასხვა ლობისტური კომპანია და მათი ქვეკონტრაქტორი. მათ შორის აგრეთვე ლობისტად დარეგისტრირებული იყო თედო ჯაფარიძე, რომელიც 2012 წლისარჩევნების შემდეგ „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების“ პარტიული სიით გახდა პარლამენტის წევრი.[36]

როგორც აშშ-ს კონგრესისთვის წარდგენილი ანგარიშებიდან ირკვევა, 2008-2015 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე სულ დაიხარჯა 9,585,115.04 აშშ დოლარი, ხოლო სხვადასხვა კერძო პირებისა და პარტიების მიერ იმავე პერიოდში დაიხარჯა 5,270,490.09 აშშ დოლარი. როგორც მოცემული გრაფიკიდან აშკარაა, ჯამურად წლის მანძილზე ყველაზე დიდი რაოდენობის თანხა, 7.2 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯა 2012 წელს.

ლობისტური საქმიანობა აშშ-ში 2008-2015 წლებში (აშშ დოლარი)

[36] www.IDFI.ge - საქართველოს ლობისტური საქმიანობა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2008-2015 წლებში - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის კვლევა



ასევე საინტერესოა, რომ ხელისუფლების შეცვლამდე ლობისტურ საქმიანობაში ჩართული იყო გაცილებით მეტი სახელმწიფო სტრუქტურა - საქართველოს მთავრობის გარდა ლობისტურ კომპანიებს თანხებს ურიცხავდნენ ეროვნული უშიშროების საბჭო, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, პრემიერ-მინისტრის აპარატი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და თავდაცვის სამინისტრო. ხოლო არჩევნების შემდეგ, ლობისტურ საქმიანობაზე მხოლოდ საქართველოს მთავრობას აქვს გადარიცხული თანხები. საინტერესოა, რომროგორც www.fara.gov-ზე ხელმისაწვდომი დოკუმენტებიდან ირკვევა, 2012 წელს იყო გაფორმებული კიდევ ორი ხელშეკრულება - საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის მიერ 320,000 აშშ დოლარის ოდენობით, და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ 200,000 აშშ დოლარის ოდენობით. თუმცა, როგორც ბაზაშია მითითებული, ორივე კონტრაქტი მცირე ხანში გაუქმდა, და აღნიშნული თანხების შესახებ არც ანგარიშებშია ნახსენები რაიმე. ასევე, უნდ ააღინიშნოს, რომ 2013 წელს ერთ-ერთი ლობისტურიკომპანიის, Gregory A. Maniatis-ის ქვეკონტრაქტორიკომპანია Fianna Strategies ახორციელებდა ლობისტურ

საქმიანობას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხარდასაჭერად, რისთვისაც თანხები მიიღო Gregory A. Maniatisგან. თუმცა, თავად Gregory A. Maniatis ფინანსდებოდა ეროვნული უშიშროების საბჭოდან.

როგორც FARA-ს მონაცემებით ირკვევა, აშშ-ში ლობისტური საქმიანობით სარგებლობდნენ ასევე სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მთავრობები. ხელშეკრულებების გაცნობის შედეგად ცხადიხდება, რომ სეპარატისტული რეჟიმების ლობისტური კამპანიები მიმართული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საწინააღმდეგოდ. სულ 2009-2011 წლებში გაწეული ლობისტური მომსახურებისთვის აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას გადახდილი აქვს 430,000 აშშ დოლარი, ხოლო სამხრეთ ოსეთს იმავე პერიოდში - 457,850 აშშ დოლარი როგორც ზემოთ მოცემული ანალიზი ცხადყოფს, აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიათასობით აშშ დოლარი ირიცხება, რის შესახებ ინფორმაციაც საქართველოში ფაქტობრივად ხელმიუწვდომელია. რასაკვირველია, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლოა დავის საგანს წარმოადგენდეს, თუ რამდენად საჯარო უნდა იყოს ქვეყნის ლობისტურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები. თუმცა, აშშ-ს უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტის მაგალითზე შეიძლება რამდენიმე არგუმენტის მოყვანა მეტი საჯაროობის სასარგებლოდ. ათეულობით დოკუმენტის შესწავლის შედეგად თამამად შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომი დოკუმენტები (კონტრაქტები, გადარიცხული თანხების რეესტრი, განხორციელებული აქტივობების აღწერილობა) უმეტესწილად არ შეიცავს ისეთ სენსიტიურ ინფორმაციას, რომლის გასაჯაროებაც საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს ზიანს მიაყენებდა. ინფორმაცია მოცემულია განზოგადებულისახით, მაგ. მითითებულია შეხვედრებში მონაწილე პირები და ზოგადი მიზნები, ან თემები, როგორიცაა „ურთიერთობა საქართველოსა და აშშ-ს შორის“ ან „საქართველოში

მიმდინარე არჩევნები“, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული საკითხები და შედეგები. იშვიათ შემთხვევებში მოცემულია დაგზავნილი პრესრელიზების ან ოფიციალური წერილების ნიმუშები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს IDFI წერდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებული 2012 წელს საზღვარგარეთის ქვედანაყოფებში განხორციელებულიში და აუდიტორული შემოწმების ანგარიშების შესახებ. აღნიშნულ ანგარიშებში სხვა დარღვევებს შორის იყო აგრეთვე გაურკვეველი ლობისტების თანხის სახით 2006 წელს გადარიცხული 120 000 აშშ დოლარი. სწორედ მსგავსი დარღვევების თავიდან აცილებისთვის არის მნიშვნელოვანი მეტი პროაქტიული გამჭვირვალობა. ამას გარდა, გამომდინარე იქიდან, რომ აშშ-ში ლობისტური საქმიანობის შესახებ სრული ინფორმაცია უკვე დიდი ხანია ხელმისაწვდომია ღია წყაროების სახით, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ამ ინფორმაციის დამალვა აზრს მოკლებულია. ამავე პოზიციას ამყარებს IDFI-ის მიერ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოდან მიღებული პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ ის ინფორმაცია, რაც გასაიდუმლოებულია საქართველოში, ხელმისაწვდომია აშშ-ს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში www.fara.gov.[37]

ლობისტურ კომპანიებთან ქართული მხარის ურთიერთობა საჯარო გახდა 2013 წლიდან, საქართველოს ხელისუფლებამ, მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, ევროპულ და ამერიკულ ლობისტურ კომპანიებთან ხელშეკრულებები გააფორმა. ქართული მხარე ევროპულ კომპანია „კამბრეს“ თვეში 40 000 ევროს, ხოლო ამერიკულ კომპანია „პატონბოქსს“ 90 000 აშშ დოლარს გადაუხდის. ხელშეკრულება 6 თვის ვადით დაიდო. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ თამარ ბერუჩაშვილმა განაცხადა, რომ ლობისტური

[37] www.IDFI.ge - საქართველოს ლობისტური საქმიანობა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2008-2015 წლებში - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის კვლევა

კომპანიები ქართული მხარის ევროკავშირსა და ნატოში დაახლოებას შეუწყობენ ხელს და მათი საქმიანობა 100%-ით ქართული სახელმწიფოს ინტერესების გატარება იქნება. ბერუჩაშვილის განმარტებით, ლობისტური კომპანიები ევროკავშირთან და ნატოსთან საქართველოს ინტეგრაციის ახალ არხებს და გზებს მოძებნიან. ხელშეკრულებები, აგრეთვე, უზრუნველყოფს ევროკავშირის ინსტიტუტებთან, კონგრესთან დ ააშშ-ის ბიზნესმენებთან კიდევ უფრო დაახლოებას. [38]

ევროკავშირში მიმდინარე ლობისტური საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით 2014 წლიდან მოქმედებს ,,საერთაშორისო საქართველოს'' მიერ შექმნილი ფორტალი http://www.integritywatch.edu სადაც რეგისტრირებული ლობისტების, მათ მიერ გამართული შეხვედრებისა და განხილული საკითხების შესახებ ინფორმაციაა განთავსებული. საქართველოში საზღვარგარეთ მიღებულ ლობისტურ მომსახურებაზე ინფორმაცა გაუმჭვირვალეა მედიისთვის, საზოგადოებისთვის პოლიტიკური თუ აკადემიური წრეებისთვის საქართველოს შესახებ.

ინფორმაციის მიწოდებისა და საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებისთვის ლობისტური ორგანიზაციების დაქირავება მიღებული პრაქტიკაა. თუმცა ამ ტიპის დანახარჯებსა და მომსახურების შინაარსზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს. გამჭვირვალოსობის უზრუნველყოფა განსაკუთრებ ით მნიშვნელოვანია იმ რისკის გამოსარიცხად, როდესაც საბიუჯეტო ორგანიზაცია ყიდულობს ლობისტურ მომსახურებას, ხოლო ლობისტური მომსახურების დავალების შინაარსი შესაძლოა ემსახურებოდეს არა საზოგადოების, არა მედ მმართველი პარტიის ინტერესებს. [39]

---

[38] www.info9.ge - თამარ ბერუჩაშვილის განცხადება

[39] www.transparency.ge

3.3 საქართველოს ლობისტური საქმიანობის გავლენა მის საგარეო პოლიტიკაზე

- ლობიზმი,როგორც საკანონმდებლო ორგანოსა და სახელმწიფოს მაღალი რანგისჩინოვნიკებზეზემოქმედებისპრაქტიკა, სადაზვერვო შეღწევადობის თვალსაზრისითმნიშვნელოვან რისკ–ჯგუფს წარმოადგენს;
- ლობიზმის კუთხით სადაზვერვო ზეგავლენის თავიდან ასარიდებლად მიზანშეწონილია საკანონმდებლო ორგანიზება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოში უცხო ქვეყნების ლობჯგუფების ქაოსური შემოღწევა-სადზვერვო მოღვაწეობისათვის, რეგისტრაციას უნდა დაექვემდებაროს, რაც კონტრსადაზვერვო საქმიანობის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი გარემოება იქნება
- ლობიზმის შენიღბული ფორმით,სადაზვერვო ლობიზმით მიღება პოლიტიკურ ლიდერის დისკრედიტაციის, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნით

  შეიძლება დასრულდეს;

- სადაზვერვო საქმიანობის ოთხივე: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური სახეობისათვის, ლობიზმი მორგებად მიმართულებას წარმოადგენს და ამ მიმართულებებით მნიშვნელოვან სადაზვერვო ინფორმაციების მოპოვებასთან ერთად, სასურველი, დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს საწინააღმდეგო საკანონმდებლო უზრუნველყოფის საშუალებასაც იძლევა.

  საქართველოში გვაქვს რამოდენიმე კომპანია რომელიც აწარმოებს ლობისტურ საქმიანობას: http://www.g-p.ge/geo/practice-areas/public-policy-and-

lobbying/ გეწაძე და პატეიშვილის კომპანია, http://www.solutions.ge/ka/service/lobbying/"GDC სოლუშენს"-იბიზნეს-საკონსულტაციო კომპანია.

საქართველოსთვის ლობიზმი საერთაშორისო ურთიერთობებისთვის მნიშვნელოვანი ნაწილია. მით უმეტეს, ლობი აუცილებელია ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც არის საქართველო. ეს არ არის რომელიმე მთავრობის ლობი. მარტო საქართველოს ხელისუფლების კი არა, მთელი ქვეყნის ლობირება ხდება. საქართველოში კარგი იქნებოდა რომ არსებობდეს უფრო მეტი ლობისტური კომპანიები, რათა საზოგადება მეტად იყოს ჩართული სახელმწიფოს განვითარებაში და წინსვლაში, რომ იყოს ლობისტური კომპანიებიამისათვის საჭირო აარსებობდეს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ნორმების რეალურიმოქმედება, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება, მდგრადი სამოქალაქო საზოგადოება.

საქართველოში გაცილებით შესამჩნევია გარე ლობის შედეგი, ვიდრე საერთაშორისო სივრცეში ქართული ლობის შედეგები.

,,საქართველოს მხრიდან ლობიზმის შედეგები შეგვიძლია აღმოვაჩინოთ აქტიურად "ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პერიოდში. თუმცა აქ, ვფიქრობ, ერთი სპეციფიურობა ახასიათებდა – საკითხი იდგა არა, ვთქვათ, საქართველოს ეროვნული ინტერესების რეალიზაციის კუთხით, არამედ სახელმწიფო თანხები სავარაუდოდ უფრო იხარჯებოდა კონკრეტული სუბიექტებისა და პარტიის იმიჯმეიკინგის, ასევე გავლენის კუთხით. ამის შესახებ მსჯელობაც ბევრი იყო, რამდენადაც, პოლიტიკური პარტიის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ლობიზმის შედეგები თავად პერსონალიებს უფრო დარჩათ,

ვიდრე ქვეყანას", _ ამბობს არჩილ გამზარდია და დასძენს, რომ ლობისტური კომპანიებით სარგებლობას ყოველთვის დადებითი შედეგები არ მოჰყვება.

სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ხშირად ლობირების პროცესში ფსევდო რეალობას ვიღებთ, რაც ჩვენს გადაწყვეტილებებს მართვადს ხდის.

,,უკანასკნელი წლების განმავლობაში შესაძლოალობის შედეგი იყო სხვადასხვა მაჩვენებლით საქართველოსათვის ინდექსების მინიჭება: უსაფრთხოების მხრივ, ეკონომიკურია სპექტით, ბიზნესის კეთების მხრივ და ა.შ. ანუ მაჩვენებლები, რომელიც შინაარსობრივად საიმიჯოა, მაგრამ ქვეყანას თუ მის მთავრობას შესაბამის გარემო პირობებს უქმნის თვითრეალიზაციისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხით ლობისტური ჯგუფების გარეშე ყოფნა კიდეც დაეტყო საქართველოს, რამდენადაც მრავალი მაჩვენებლით ოფიციალურ მონაცემებში საქართველოს გაუარესებული შედეგები დაეტყო. ამიტომ, სრულიად ლოგიკურია, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ მეტად მოიწადინა ამ პროცესების ისევ მართვა, რადგანაც ლობიზმის შემცირებას "ქართული ოცნების" იმიჯის მკვეთრი ვარდნა შეიძლება მოჰყვეს როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ლობიზმი, მართალია, შეიძლება ეფექტურიც იყოს ზოგიერთი ჯგუფის ინტერესის დონეზე, მაგრამ გარკვეულწილად მე ის საშიშ მოვლენადაც მიმაჩნია, რადგან არსებობს საშიშროება, მთელ ამ ხელოვნურსა და მართულ პროცესში ერთი მხრივ, რეალობის ნაცვლად ფსევდორეალობა მივიღოთ, რომელიც წარმოსახვას უფრო შექმნის ჩვენს ცნობიერებაში, ვიდრე ადეკვატურ წარმოდგენებს, შესაბამისად ჩვენი შეხედულებები თუ გადაწყვეტილებები მართვადი უფრო გახდება, ვიდრე თვითრეგულირებადი; მეორე მხრივ, კი ძალიან რთული ხდება გაიმიჯნოს პროცესის რეალური მმართველი და დასახელებული წყარო. ეს პროცესები, სავარაუდოდ, უფრო მომავალ პერსპექტებში შექმნის კრიზისს მთელი მსოფლიოს მასშტაბით", _ უთხრა "გურიანიუსს" გამზარდიამ.

როგორც სპეციალისტი აღნიშნავს, საფრთხე იკვეთება თუნდაც შემდეგ მაგალითში – როდესაც მრავალეროვან სახელმწიფოებში საზოგადოებრივ ჯგუფებს ლობირების ინსტიტუტის დახმარებით შეუძლიათ დამოუკიდებლად მიაქცევინონ ყურადღება თავიანთი პრობლემებისათვის, გავლენა მოახდინონ მათი საკანონმდებლო მოწესრიგების პროცესზე, ამ დროს კი, გამომდინარე იქიდან, რომ ლობისტური მომსახურება საკმაოდ ძვირი ჯდება, მათ უკან პირადი ინტერესების მქონე ფინანსურად გამართული ჯგუფები იდგნენ.

,,ლობიზმის წარმოების კუთხით, მრავალეროვან სახელმწიფოებში ლობირების ობიექტი ხელისუფლებით სტრუქტურებში არის სხვადასხვა სახის ეროვნული ინტერესები. ქართულ რეალობაში ჩვენ ამ ლობირების პროცესს ვხვდებით თითქმის ყველა ნაბიჯზე, ამ მხრივ, საქართველო ძალიან დაუცველი და მოუქნელი აღმოჩნდა, ხოლო საზოგადოებრივი ცნობიერების კრიზისმა კი მეტი გასაქანი მისცა ნებისმიერი ჯგუფს, მოახდინოს საკუთარი ინტერესების რეალიზაცია საქართველოში. ითვლება, რომ ლობიზმი საშუალებას აძლევს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალიზებაში მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრიობის იმ ჯგუფებმა, რომლებიც ასე თუ ისე მოკლებულნი არიან ამ შესაძლებლობას. საზოგადოებრივ ჯგუფებს ლობირების ინსტიტუტის დახმარებით შეუძლიათ დამოუკიდებლად მიაქცევინონ ყურადღება თავიანთი პრობლემებისათვის, გავლენა მოახდინონ მათი საკანონმდებლო მოწესრიგების პროცესზე. თუმცა, აქაც მაღალი დონის რისკები არსებობს, რამდენადაც ლობიზმი ძვირი ჯდება, ის მოდიოდეს არასაზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესების მწარმოებლად, არამედ, ოლიგარქიულ ინტერესებსა და ფინანსურად გამართული ჯგუფების ინტერესების რეალიზატორად", _ განმარტავს "გურიანიუსთან" საუბრისასგამზარდია.[40]

[40] www.gurianews.com

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში განხილული იქნა ლობიზმის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის, სხვადასხვა ასპექტები, მისი არსი და რაობა, მექანიზმები და პრაქტიკა ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის ქვეყნებისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე. განხილულ იქნა ლობიზმის სამართლებრივი რეგულირების ასპექტები და მახასიათებლები, აგრეთვე ლობიზმის ქართული რეალობა და სამომავლო პერსპექტივები.

ნაშრომის ფარგლებში განხილული თემა, თავისი სპეციფიკური და არაერთგვაროვანი ხასიათიდან გამომდინარე, ზოგადად ზღუდავს ხელისუფლების ბიუროკრატიულ ჩარჩოებს, იგი ავსებს დემოკრატიული მმართველობის კონსტიტუციურ სისტემას და ხელს უწყობს გადაწყვეტილებების პროცესზე ზეგავლენის მოხდენას. აქ მთავარი ფაქტორია გამჭვირვალობა, ის თუ რამდენი, რომელ ქვეყანაში, როგორ, რამდენი და რა მიზნით იხარჯება ლობისტურ

საქმიანობებზე. აღსანიშნავია მისი რეგულირების პრაქტიკების გათვალისწინება, რათა შიდა და საგარეო პროცესები ლობირების კუთხით კიდევ უფრო გამჭირვალე და სანდო გახდეს.

იმის გათვალისწინებით, რომ ლობირება შეიძლება მოვიაზროთ, როგორც დარწმუნების მნიშვნელოვანი საშუალება, მეთოდი და სტრატეგია, აგრეთვე ამყარებს გამილტონის პოზიციას, რომ ლობირება ყველაზე ეფექტურია, როცა ნდობა ყველაზე ღირებული მონაპოვარი ხდება ინფორმაციის გადაცემისას ლობისტსა და კონგრესმენებს (აშშ-ს მაგალითზე) და მაღალი რანგის მოხელეთა (სხვა ქვეყნების მაგალითზე) შორის, შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც ლობირების პროცესის ორგანიზატორი, ისე მონაწილე მხარე სადაზვერვო ზეგავლენისა და გადაბირების მნიშვნელოვან ობიექტებს წარმოადგენენ.

როგორც დავინახეთ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც ლობიზმის სამშობლოში, ცხადია ნებისმიერ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში ჩართულები არიან პროფესიონალი ლობისტები და კონსულტანტები. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ლობიზმი აშშ-ში ხმების ყიდვის პრაქტიკასთან ასოცირდებოდა, დღეს იგი გლობალიზაციის თანმდევი, განვითარებული, ჯანსაღი პროცესი გახდა.

როგორც ვხედავთ, ლობისტური საქმიანობის წარმატებას განაპირობებს მისი დახვეწილი, სისტემატიზირებული რეგულაცია და მონიტორინგი, რომლის მეშვეობითაც ხდება შესწავლა იმის, თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება იგი.

რეკომენდაციების სახით, ლობიზმის როგორც ინსტიტუტის და მექანიზმის სრულყოფისთვის საქართველოში შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია რომ გარდა ლობისტური საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირების დახვეწისა, ფუნდამენტურია მისი რეალურ მოქმედებასა და სისრულეში მოყვანა, იგულისხება მისი ცივილური ფორმით დანერგვა პოლიტიკურ კულტურასა და მთლიანად საერთაშორისო სისტემაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგიბერიძე გ, ,,ლობიზმი და მისი რეგულირების სამართლებრივი ასპექტები'' გამომცემლობა ,,უნივერსალი'' თბილისი, 2014 წ;
2. ,,ლობიზმის სამართლებრივი რეგულირება საერთაშორისო პრაქტიკაში'' კორუფციის კვლევითი ცენტრი, თბილისი, 1998 წ;
3. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი [სარედ.: ჯგუფი: ედუარდკოდუადასხვ. ; გამომც.: ლაშაბერაია] - თბ. : ლოგოს პრესი 2004 - 351გვ. ; 20სმ. - (სოციალურმეცნ. სერია/რედ.: მარინეჩიტაშვილი). - ISBN 99928-926-9-2 : [ფ.ა.]
4. თენგიზ ენდელაძე. „საგარეო დაზვერვის სამსახურები.“ თბილისი 2007.
5. ,,Interest represenatation in the European Union'' – The European Union Series- Justin Greenwood

6. Alberto Bitonti, Phill Harris - ,,Lobbying in Euroepe – Public affairs and lobbying industry in 28 EU countries''
7. The Armenian Lobby in the USA: The success (and limitations) of the Grassroots Approach by N (Nigel) Supervisor: M.G Valenta,Radbound University, June 15th, 2017
8. „Business lobbying and government relations in Russia: The need for newprinciples.“by Dmitry Denisov. Michaelmas Term 2010. Sponsor: Wincott Foundation
9. Reuters Staff. „Russian intelligence wages information war, says Czech security service.“ SEPTEMBER 1, 2016.
10. О.А. Омельченко. „ВСЕОБЩАЯ ИСТОРИЯ ГОСУДАРСТВА И ПРАВА.“ УЧЕБНИК. Издание третье, исправленное. Рекомендовано Министерством образования. Российской Федерации в качестве учебника для студентоввысших учебных заведений, обучающихся по специальностии направлениям «Юриспруденция». Том 2 . МОСКВА. 2000. http://lawdiss.org.ua/books/a2052.doc.html;
11. http://www/IDFI.ge
12. http://www/democrats.ge
13. http://www.matsne.gov.ge
14. http://reginfo.ge/caucasus
15. https://1tv.ge/analytics/lobizmi-amerikis-sheertebul-shtatebshi/
16. http://www.nplg.gov.ge
17. http://globby.ge/ra-aris-lobizmi/
18. http://www.bulvar.ge
19. http://www.analitikosebi.blogspot.com
20. http://www.iuristi24.ge
21. http://www.g-p.ge
22. www.solutions.ge
23. http://www.resonancedaily.com

24. www.acent.ge.com

25. http://fara.gov/ge

26. http://www.info9.ge